ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## ლაგოდეხის ნაკრძალში რეინჯერებს თავს დაესხნენ



გვ.4

19 აგვისტოდან

თედორე დოსტოევსკი

**ყმაწვილი**

ტომი 2

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი



პარასკევი, 19 აგვისტო, 2016 — №196 (7122) — ფასი: 50 თეთრი

# პაატა ბურჭულაძე დიდ კოალიციას ქმნის



გვ.3

„მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის" და „ახალი არჩევანი" გაერთიანდნენ

## გიორგი ვაშაძე: „ჩვენ გვაქვს პრეტენზია, მოვიდეთ ხელისუფლებაში"



## „ცენტრ-პოინტი" მუშაობას წყვეტს

სასამართლომ მაია და გუკა რჩეულიშვილები, ასევე ირაკლი მინდელი პატიმრობაში დატოვა



გვ.6



გვ.2

ლადო სადღობელაშვილი: „მთაწმინდაზე სალომე ზურაბიშვილს კი არა, რურუას არ დაუყენეს კონკურენტი"

## „ქართული ოცნება" ნიკა რურუას უჭერს მხარს?





გვ.4

სოსო ცინცაძე: „სუსტი ოპოზიცია ყველა ხელისუფალს აწყობს, მაგრამ არა ქვეყანას"

ISSN 1987-9385

ლევან ხაბეიშვილი: „პრორუსულ ძალებს პარლამენტში არ შევუშვებთ"



გვ.3

## კობა სუბელიანი: „პატიმრების მშობლებს ცრუ დაპირებებით ატყუებენ"



გვ.2



გვ.5

ჯემალ გამახარია: „უმაღლეს საბჭოს აირჩევენ მაშინ, როცა აფხაზეთში დავბრუნდებით"

## აფხაზეთში ნარკობიზნესს ბრძოლა გამოუცხადეს



გვ.5

ანექსირებულ რესპუბლიკას ახალი შინაგან საქმეთა მინისტრი ჰყავს

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# „ქართული ოცნება“ ნიკა რურუას უჭერს მხარს?

## ლადო სადღობელაშვილი: „მთაწმინდაზე სალომე ზურაბიშვილს კი არა, რურუას არ დაუყენეს კონკურენტი“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ დაბრუნდა ნიკა რურუა ნაციონალურ მოძრაობაში, რა კავშირი აქვს მის ძმას მარგველაშვილთან და ივანიშვილთან, რისთვის გაწირეს სალომე ზურაბიშვილი, რატომ გადაწყვიტა მაჟორიტარობისთვის ბრძოლა? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ არასამთავრობო ორგანიზაცია თავისუფალი თაობის ლიდერი **ლადო სადღობელაშვილი** ესაუბრება.

***– თქვენ აპირებთ მთაწმინდის მაჟორიტარად კენჭისყრას. არადა, როცა იქ სალომე ზურაბიშვილმა კანდიდატურა დააყენა, მხარდაჭერა გამოუცხადეთ. ახლა რა შეიცვალა?***

– სალომე ზურაბიშვილს ახლაც ვუჭერ მხარს. კანდიდატურაც მხოლოდ იმიტომ დავაყენე, რომ მინდა, მას დავეხმარო. ოღონდ მართლა უნდა დავეხმარო და არა ისე, როგორც „ქართული ოცნება“ მოიქცა.

***– რას გულისხმობთ? გიორგი კვირიკაშვილმა ღიად განაცხადა, რომ მათ მხოლოდ იმიტომ არ დააყენეს მთაწმინდაზე კანდიდატურა, რომ სალომე ზურაბიშვილს უჭერენ მხარს.***

– სინამდვილეში სალომე ზურაბიშვილი არაფერ შუაში არ არის და ხელისუფლებამ სულ სხვა პიროვნების მიზეზით თქვა უარი, მთაწმინდაზე დაეყენებინა კანდიდატურა. პირადად მე ეჭვიც კი არ მეპარება იმაში, რომ „ქართული ოცნება“ მხარს ნიკა რურუას უჭერს. აი, ესაა მთავარი მიზეზი იმისა, რომ მთაწმინდაზე კანდიდატურა არ დააყენეს.

***– თუ ასე უნდოდათ რურუასთვის მხარდაჭერა, დაესახელებინათ თავიანთ კანდიდატად. „ქართული ოცნება“ ისედაც ყოფილი ნაციონალებით არის დაკომპლექტებული.***

– ნაციონალების დაწინაურება და მაჟორიტარობის კანდიდატად დასახელება ამათ უკვე აღარ რცხვენიათ, მაგრამ ნიკა რურუა სულ სხვა ფენომენია და მისი კანდიდატურის დასახელება უკვე ნამეტანი იქნებოდა.

ჩვენს მოსახლეობას ძალიან მწარედ ახსოვს გასული საუკუნის 90-იანი წლები. ამ წლებში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული იყო ვერელების საძმო. ძმები რურუები ამ საძმოს მეთაურები იყვნენ და მათ სახელს ბევრი უბედურება უკავშირდება. მე მთაწმინდაზე გავიზარდე და მათ შესახებ ყველაფერი ვიცი. ამიტომაც მინდა, წინააღმდეგობა გავუწიო რურუების კლანის აღორძინებას.



***–სალომე ზურაბიშვილი ვერ გაუწევს წინააღმდეგობას რურუას?***

– როგორ უნდა გაუწიოს მან რურუებს წინააღმდეგობა? ქალბატონი სალომე იმ წლებში საქართველოში არ ცხოვრობდა და კონკურენტის ბრძოლის მეთოდების შესახებ არაფერი იცის. ის არის დიპლომატი და კულტურული ადამიანი. რურუებთან კი ცოტა სხვა ტიპის ბრძოლაა საჭირო.

მათ უკვე კარგა ხანია დაწყებული აქვთ წინასაარჩევნო კამპანია ვერაზე და მთაწმინდაზე. ისინი საკმაოდ უხეშ ფორმებს იყენებენ.

***– კარგა ხნის წინ როგორ დაიწყეს კამპანია, ახლახან არ დააყენეს რურუას კანდიდატურა ნაციონალებმა?***

– ოფიციალურად ახლა დააყენეს, მაგრამ მისი კანდიდატურის დასახელება კარგა ხნით ადრე იყო გადაწყვეტილი. ეს ძმები უბანში 2 პრადოს ჯიპით გადაადგილდებიან. ამ მანქანებს რატომღაც დაბურული შუშები აქვს. რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, დაბურული მინებით სარგებლობის უფლება მხოლოდ კონკრეტული თანამდებობის პირებს აქვთ.

ვერაზე, სოლოლაკსა და მთაწმინდაზე, ისევე, როგორც მთელ საქართველოში, ტოტალური უმუშევრობაა. ახალგაზრდობის დიდი ნაწილი ბირჟებზე დგას. ეს ძმები სწორედ ამ ბირჟებზე მიდიან, არკვევენ, ვინ არის იმ ბირჟაზე მთავარი. მერე ამ მთავარს ჩაისვამენ მანქანაში და მიდის მისი დამუშავება.

***– რას ჰქვია დამუშავება?***

– პირდაპირ ეუბნებიან, რომ მათ მხარეს უნდა გადმოვიდნენ და მათზე იმუშაონ. წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრებიან და ეუბნებიან, ხომ არ დაგავიწყდათ, ვინ ვართო. სალომე ზურაბიშვილი, რომელიც ბუნებით ინტელიგენტია, ამას ვერ დაუპირისპირდება. ხელისუფლებისგან მხარდაჭერის იმედი კი სულ ტყუილად აქვს. ისინი ნიკა რურუას უჭერენ მხარს, იმ ნიკა რურუას, რომლის კულტურის მინისტრობისას უნიკალური ნახატები და ნივთები ქვეყნიდან გავიდა და აუქციონებზე იყიდება.

***– რატომ არავინ ითხოვს ამ საკითხის გამოძიებას?***

– საქმის გამოძიება ხელისუფლების ვალდებულებაა. ხელისუფლება კი მისი მხარდამჭერია. აბა, გაიხსენეთ, მთელი ამ 4 წლის განმავლობაში რამდენჯერ ახსენეს ნიკა რურუას გვარი? მე ასეთი შემთხვევა თითქმის არ მახსენდება.

***– ყველაფრის მიუხედავად, მაინც ძნელი დასაჯერებელია, რომ „ქართული ოცნება“ რურუას უჭერს მხარს.***

– ძნელი დასაჯერებელი თუ არის, მაშინ შევეცდები, უფრო კონკრეტულად ავხსნა რაღაცები. ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ ნიკა რურუა წამოვიდა ნაციონალებიდან და რამდენიმე პიროვნებასთან ერთად შექმნა ორგანიზაცია „ივერიელები“. ისინი ამბობდნენ, რომ არჩევნებში დამოუკიდებლად მიიღებდნენ მონაწილეობას. „ივერიელები“ ხელისუფლებას აკრიტიკებდნენ, მაგრამ ძალიან მკაცრად არა. ეს რაღაც ეჭვებს მიჩენდა.

საეჭვოა ისიც, რომ ხელისუფლებამ მხოლოდ მას შემდეგ თქვა, რომ სალომე ზურაბიშვილს კონკურენტს არ დაუყენებდნენ, რაც გაარკვიეს, რომ ნიკა რურუა მთაწმინდაზე იყრიდა კენჭს. საინტერესო და საეჭვოა ისიც, რომ ნიკა რურუა მოულოდნელად დაბრუნდა ნაცმოძრაობაში და მათი სახელით იყრის კენჭს.

არც ის დაგვავიწყდეს, რომ ნიკას ძმა არის გიორგი მარგველაშვილის ბავშვობის მეგობარი. სოციალური ქსელით მე გამოვაქვეყნე ფოტოები, სადაც მარგველაშვილი და ჟორიკა რურუა ერთად არიან გადაღებული. სურათის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბიჭები ზღვაზე არიან და „გულაობენ“. ეს ფოტო წლების წინ არის გადაღებული, მაგრამ მათი მეგობრობა ახლაც გრძელდება.

***– ჟორიკა რურუასთან მარგველაშვილი შესაძლოა დღემდე ძმაკაცობს, მაგრამ „ქართულ ოცნებასთან“ მთლად ვერა აქვს კარგად საქმე.***

– როგორ გეკადრებათ. „ქართულ ოცნებასთან“ მარგველაშვილი მაშინ იყო დაპირისპირებული, როცა პრემიერი იყო ირაკლი ღარიბაშვილი. ახლა პრეზიდენტმა ძალიან კარგად დაალაგა ურთიერთობა მთავრობასთან. დღეს მარგველაშვილი და გიორგი კვირიკაშვილი ლამის ერთნაირი ტერმინოლოგიით გველაპარაკებიან. ისე დალაგდნენ, რომ კახა კალაძის ჩაჩოჩებაც კი დაიწყეს. ორივე ერთ ხმაში გმობს კორცხელის ინციდენტს და ყველაფერს აკეთებენ, რომ კალაძე გადაჰყვეს ამ ამბავს. ისე მიდის პროცესები, ალბათ, გადააყოლებენ კიდევაც.

***– თქვენ თქვით, რომ სალომე ზურაბიშვილი სათანადო წინააღმდეგობას ვერ გაუწევს რურუებს. აქ კენჭს იყრის თამარ კორძაიაც. ის რას იზამს?***

– ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც გადავწყვიტე მაჟორიტარობა, თამარ კორძაიას ფაქტორიცაა. ამ ადამიანთან ძველი ანგარიშები მაქვს გასასწორებელი.

***– რა ანგარიშები?***

– ამ კორძაიამ წლების წინ სასამართლოში მიჩივლა. მართალია, ის სასამართლო მოვუგე, მაგრამ მისი უმსგავსო საქციელი არ დამვიწყებია.

***– სასამართლოში რატომ გიჩივლათ?***

– ჰომოფობიაში დამდო ბრალი. რამდენიმე წლის წინ ტელეკომპანია კავკასიის ეთერში მოხდა ჩხუბი, რომლის დროსაც რამდენიმე ადამიანი დააკავეს. დაკავებულებიდან რამდენიმეს კარგად ვიცნობდი. მათ მხარდასაჭერად განცხადებები გავაკეთე, რომლის დროსაც ლგბტ თემის წარმომადგენლები მკაცრად გავაკრიტიკე. თამარ კორძაია მაშინ საიას ხელმძღვანელი იყო და მიჩივლა. ცდილობდა, რომ მე 2010 წლის თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა არ მიმეღო. არაფერი არ გამოუვიდა. მასთან ერთად მიჩიოდა თამარ ხიდაშელიც.

მაშინვე ვთქვი, რომ მათ უკან რესპუბლიკელები იდგნენ. ამ პარტიამ მაშინ ეს კატეგორიულად უარყო. ახლა კი ერთიც და მეორეც რესპუბლიკური პარტიის წევრები არიან.

## კობა სუბელიანი: „პატიმრების მშობლებს ცრუ დაპირებებით ატყუებენ“



სასჯელაღსრულების სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ გუშინ, 18 აგვისტოს, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დეპუტატი კობა სუბელიანი გამოკითხვაზე დაიბარა.

როგორც თავად სუბელიანმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მიზეზი მის მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული სტატუსი იყო, რომელიც ციხეებში წინასაარჩევნოდ პატიმრებზე ზეწოლის ფაქტებს შეეხებოდა.

**კობა სუბელიანი:**

– ციხეებში წინასაარჩევნოდ პატიმრებზე და ე.წ. მაყურებლებზე ზეწოლა დაიწყო, რომ მათ თავიანთ ოჯახის წევრებს დაავალონ, იმუშაონ „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ, შეუგროვონ ხმები. ამასთან დაკავშირებით განცხადება რამდენიმე დღის წინ გავაკეთეთ.

სასჯელაღსრულების მინისტრის დავალებით დამირეკა გენერალური ინსპექციის უფროსმა, რომელმაც მთხოვა შეხვედრა. შედგა ჩვენი შეხვედრა, ვუთხარი ყველაფერი და ეს შეხვედრა გაფორმდა ოქმით. მან, რა თქმა უნდა, უარყო ამის შესახებ, ასევე თქვა, რომ აუცილებლად ჩაატარებს მოკვლევას და დაიწყებს გამოძიებას.

მინდა მივმართო იმ ოჯახებს, პატიმრების იმ მშობლებს, რომლებსაც ასეთი ცრუ დაპირებებით ატყუებენ, პირდებიან სასჯელის განახევრებას და არჩევნების მერე პატიმრობიდან განთავისუფლებას – ეს არის წინასაარჩევნო ტყუილი, ნუ წამოეგებით ამ ინფორმაციას და ნუ გაუწევთ დათვურ სამსახურს ხელისუფლებას, რომელიც 2016 წლის 8 ოქტომბერს უნდა დასრულდეს.

**ინტერპრესნიუსი**

## ქუთაისის მერია გიგი წერეთელს დაუპირისპირდა



ქუთაისის მერია ნაციონალური მოძრაობის №49 ოლქის მაჟორიტარობის კანდიდატ გიგი წერეთლის განცხადებას პოპულისტურს უწოდებს.

გიგი წერეთლის განცხადება ქუთაისში ავტოქარხნის დასახლების რამდენიმე ეზოს მოწესრიგებას შეეხება.

ქუთაისის მერიის ინფორმაციით, გიგი წერეთელმა საკმაოდ გაცვეთილი და მოძველებული მეთოდი გამოიყენა, როდესაც ოპონენტმა წინასწარ იცის, რა აქტივობები იგეგმება ადგილობრივი ბიუჯეტის ძალებით.

– იმის გამო, რომ განცხადებაში მოყვანილი ფაქტები უზუსტობებს შეიცავს, გვსურს, დოკუმენტურად ვუპასუხოთ მაჟორიტარობის კანდიდატს, რომელსაც მხოლოდ საარჩევნოდ გაახსენდა ქუთაისი.

გიგი წერეთელს აქვს ინფორმაცია, რომ ზ. ჭავჭავაძის №12 ბინის ხელშეკრულებები უკვე არსებობს და უახლოეს დღეებში უნდა დაიწყოს სამუშაოების მეოთხე ეტაპი.

აღნიშნული პროექტი თანადაფინანსებით მიმდინარეობს. პროექტში მოსახლეობა მხოლოდ 10%-ს იხდის, ხოლო თვითმმართველობა მათ 90%-ით ეხიდება, მაშინ როდესაც ბატონი გიგის პარტიის მმართველობის დროს ეს მაჩვენებელი 20%-80%-ზე გამოიყურებოდა, – ნათქვამია ქუთაისის მერიის ინფორმაციაში.

**ინტერპრესნიუსი**

## საქართველოდან ცხინვალის რეგიონში ყოველდღიურად 200-მდე ტონა პროდუქცია შედის

– ახალგორის რაიონში მდებარე მოსაბრუნის (რაზდახანის) გამშვები პუნქტის გავლით ყოველდღიურად საქართველოდან ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთში 200-მდე ტონა სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია შედის.




ამის შესახებ „სპუტნიკ ოსეტია“ იტყობინება. პროდუქციის რაოდენობის შესახებ ინფორმაცია ახალგორის რაიონის დე ფაქტო პოლიციის უფროსმა რობერტ ბიტაროვმა რაიონში ვიზიტით მყოფ დე ფაქტო ვიცეპრემიერ დმიტრი კოზაევს მიაწოდა.

როგორც „სპუტნიკ ოსეტია“ წერს, ვიზიტის ფარგლებში კოზაევმა დაავალა უწყებას გაარკვიოს, „რატომ იყიდება საქართველოდან „სამხრეთ ოსეთში“ შეტანილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია თვითღირებულებაზე 3-4-ჯერ უფრო ძვირად“.

ამის გასარკვევად ერთი კვირის განმავლობაში მოსაბრუნის პუნქტზე ოსი მესაზღვრეები და მებაჟეები, ასევე ე.წ. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის წარმომადგენლები მონიტორინგს ჩაატარებენ.

მოსაბრუნის გამშვებ პუნქტს ყოველდღიურად 700-მდე ადამიანი კვეთს.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი
კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნინო კანდელაკი, მზია ქოქაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# პაატა ბურჭულაძე დიდ კოალიციას ქმნის

## „მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის“ და „ახალი არჩევანი“ გაერთიანდნენ

გუშინ, 18 აგვისტოს, პაატა ბურჭულაძის „მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის“ და „ახალი არჩევანი“ გაერთიანდნენ.

განცხადება გუშინ საღამოს პაატა ბურჭულაძის პარტიის ოფისში გაკეთდა.

პაატა ბურჭულაძის თქმით, გაერთიანება არ დასრულებულა და პროდასავლური ღირებულებების პოლიტიკური ძალებისთვის კარი ისევ ღიაა.

— დღეს შეიქმნა ახალი პლატფორმა, რომლის სახელწოდებაც არის „პაატა ბურჭულაძე – მოძრაობა სახელმწიფო ხალხისათვის“. მე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენს ყოფილ კოლეგებს, ახლა კი თანაგუნდელებს, რომლებიც შემოგვიერთდნენ სწორედ მაშინ, როდესაც ჩვენ გუნდზე მიმდინარეობდა ძალიან დიდი ზეწოლა და იყო დიდი წნეხი ჩვენზე, — განაცხადა ბურჭულაძემ.

მისი თქმით, მათ გაერთიანებას იმედის თვალით უყურებს მთელი საქართველო, უფრო სწორად, ის 80% საქართველოსი, რომელსაც უჭირს.

— ჩვენ ვიძლევით პირობას, რომ როგორც კი მოვალთ ხელისუფლებაში, მათ ცხოვრებას შევცვლით საგრძნობლად უკეთესობისკენ და ამას იგრძნობენ არა 4 წლის შემდეგ, არამედ პირველივე თვეებში, — განაცხადა პაატა ბურჭულაძემ.



პაატა ბურჭულაძე: „ჩვენი კარი ისევ ღიაა“

მან ხაზი გაუსვა, რომ ახალი გაერთიანების კარი ღიაა ყველასთვის, ვინც მათ ხედვებს იზიარებს.

— ჩვენი ხედვებია პროდასავლური. ესაა ნატოში გაწევრიანება, ესაა სწრაფი ეკონომიკური გზა და, რაც მთავარია, სამართლიანი საქართველო. მე მინდა, ჩვენს მომხრეებს ვუთხრა — ცოტა დრო დარჩა და ყველაფერი ძალიან კარგად იქნება, — განაცხადა პაატა ბურჭულაძემ.

იმედიანად იყო განწყობილი ახალი გაერთიანების წევრი გიორგი ვაშაძეც.

— დღეს ძალიან მნიშვნელოვანი დღეა. ჩვენი გუნდების გაერთიანებით ჩვენ ვქმნით ძალას, რომელიც იბრძოლებს რეალურად გამარჯვებისთვის. ძალას, რომელსაც აქვს პრეტენზია, რომ მოვიდეს ხელისუფლებაში, არა იმიტომ, რომ ხელისუფლებაში იყოს, არამედ იმიტომ, რომ აქვს ღირებულებები და ფასეულობები და უნდა, რომ საქართველო იყოს წარმატებული, — განაცხადა ბატონმა ვაშაძემ.

მან ხაზი გაუსვა, რომ გაერთიანება საქმის გარშემო ყველაზე მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის.

— ჩვენ უარს ვამბობთ ბოღმაზე, დაპირისპირებაზე, შურისძიებაზე და ვიწყებთ ერთად საქმის კეთებას ქვეყნის წარმატებისთვის. საქართველო უნდა გახდეს რეგიონში წარმატებული ქვეყანა და ჩვენს გუნდს შესწევს ძალა, ეს გააკეთოს. შედეგი, რომელიც ჩვენ გვექნება, განაცვიფრებს ყველას, — განაცხადა გიორგი ვაშაძემ.

აპც გირჩის ლიდერ ზურაბ ჯაფარიძის, თქმით, პაატა ბურჭულაძის პარტიასთან გაერთიანება მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესია, რადგან მოხდა პროდასავლური კურსის მქონე პოლიტიკური ძალების გაერთიანება, რომლებსაც ასევე აერთიანებთ ეკონომიკის განვითარების ერთნაირი ხედვა.

— საქართველოს აქვს გაცილებით დიდი პოტენციალი, ვიდრე დღეს ვაკეთებთ. მწამს და ძალიან მიხარია, რომ ჩემს კოლეგებს ჩემნაირი ხედვა აქვთ. ჩვენ გვაქვს თანხვედრა, რომ საქართველომ დასავლეთის მიმართულებით სვლა უნდა გააგრძელოს და მოხდეს ეკონომიკის სწრაფი ზრდა, რადგან ეს ყველა პრობლემის გასაღებია, იქნება ეს ტერიტორიული მთლიანობა, საგარეო საფრთხეებთან გამკლავება თუ სოციალური სიდუხჭირე, — განაცხადა ზურაბ ჯაფარიძემ.

მისი აზრით, ეს იქნება ის პოლიტიკური გუნდი, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს პროდასავლურ კურსს და მტკივნეული, მაგრამ საჭირო ეკონომიკური რეფორმების გატარებას.

— მე მინდა და დარწმუნებული ვარ, რომ ბევრი წლის შემდეგ, როდესაც ამ დღეს გადმოვხედავთ, სიამაყით ვიტყვით, რომ ეს იყო ის დღე, როდესაც ჩვენ მივიღეთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, — განაცხადა ზურაბ ჯაფარიძემ.

ახალი მემარჯვენეების ერთ-ერთი ლიდერი, მამუკა კაციტაძე, ფიქრობს, რომ საქართველოს პროგრესზე ორიენტირებული მომავალი სჭირდება.

— კმაყოფილი ვარ. ეს, რაც დღეს ხდება, არის მნიშვნელოვანი ქართული სახელმწიფოსთვის. დღევანდელ საქართველოს ცვლილებები, სიახლე, პროფესიონალიზმი სჭირდება. საქართველოს პროგრესზე ორიენტირებული ხვალინდელი დღე სჭირდება, რაც ევროატლანტიკურ ინტეგრაციაში გამოიხატება, — განაცხადა კაციტაძემ.



გიორგი ვაშაძე: „ჩვენ გვაქვს პრეტენზია, მოვიდეთ ხელისუფლებაში“

* * *

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ბაჩუკი ქარდავა არ გამორიცხავს, რომ ვაშაძე, ჯაფარიძე, კაციტაძის მსგავსად, შეუერთდეს პაატა ბურჭულაძეს.

— მე მსგავსი შეხვედრები ბევრად ადრე მქონდა. გარკვეული კულუარული კონსულტაციები ჩვენ შორის იყო. აქ საუბარია ორსაფეხურიან ერთობაზე. ერთი არის ბლოკური, მეორე — პოლიტიკური კოალიცია, მაგრამ მთავარი მაინც ერთია — პროდასავლური ოპოზიცია უნდა იყოს ერთიანი, — განაცხადა ბაჩუკი ქარდავამ.

მისი თქმით, ახლა ვაჭრობის დრო არ არის — ვის, რა, როგორ. მთავარია გავლენიანი პოლიტიკური ფიგურის და ავტორიტეტის გარშემო გაერთიანება, რომ დასავლური კურსი იყოს არა უალტერნატივო ორ პოლიტიკურ ძალას შორის, არამედ გვქონდეს გარკვეული გარღვევა და ქართველ საზოგადოებას მივცეთ არჩევანი.

— ბუნებრივია, პარტიას გარკვეული ამბიცია აქვს, თავისი ინტერესი გააჩნია, ეს ინტერესები ჩვენთანაც იარსებებს. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მხრიდან ამ კოალიციას მხარდაჭერა ექნება. თუ პროდასავლური კოალიცია შედგება, ჩვენც იქ ვიქნებით, — აღნიშნა ქარდავამ.

# ლევან ხაბეიშვილი: „პრორუსულ ძალებს პარლამენტში არ შევუშვებთ“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ გადაწყვიტეს პაატა ბურჭულაძესთან გაერთიანება, როგორ შეთანხმდებიან მაჟორიტარებზე, ვინ იქნება ახალი საარჩევნო ბლოკის ლიდერი? — ამ თემებზე „ახალ თაობას“ პოლიტიკური პლატფორმა „ახალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი **ლევან ხაბეიშვილი** ესაუბრება.

***— თქვენმა პარტიამ ცოტა ხნის წინ გირჩებთან და მემარჯვენეებთან ერთად შექმნა საარჩევნო ბლოკი „ახალი არჩევანი“. ახლა დაიმატეთ პაატა ბურჭულაძის პარტიაც, რომელსაც ბოლო პერიოდში საკმაოდ სერიოზული პრობლემები შეექმნა.***

— ჩვენ არაერთხელ ვთქვით, რომ ვაპირებდით საარჩევნო ბლოკის შექმნას. ვთქვით ისიც, რომ ვითანამშრომლებდით პროდასავლურ ძალებთან. მემარჯვენეებთან და გირჩებთან უკვე ოფიციალურად გავაფორმეთ ბლოკი. ახლა ბურჭულაძეც დაგვემატა. წინა ინტერვიუში გითხარით, რომ რამდენიმე ძალასთან ვაწარმოებდით მოლაპარაკებებს. ისინი მხოლოდ იმიტომ არ დავასახელე, რომ მათგან ველოდით საბოლოო პასუხს.

***— ამ ძალებში პაატა ბურჭულაძეც შედიოდა?***

— როგორც კი ბლოკის შექმნის იდეა გაჩნდა, მაშინვე დავიწყეთ პაატა ბურჭულაძესთან მოლაპარაკებები. ჩვენ ყოველთვის ვთვლიდით, რომ პროდასავლური ძალები უნდა გაერთიანებულიყვნენ. ბოლო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა კი ამის გაკეთება აუცილებელი გახადა.

ჩვენ ყველანი ვხედავთ, თუ როგორ გააქტიურდნენ პრორუსული ძალები საქართველოში. მათ გაუჩნდათ პარლამენტში მოხვედრის შანსები, რაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ. ჩვენ ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ.

***— ყველა ამბობს, რომ პრორუსულ ძალებს საქართველოში ბევრი მხარდამჭერი არ ჰყავს. რანაირად უნდა მოხვდნენ ისინი პარლამენტში?***

— მათ ქვეყანაში სერიოზული დასაყრდენი არ ჰყავთ, მაგრამ აქ მთავარი პრობლემაა მოსახლეობის ნიჰილისტური განწყობა. ყველა გამოკითხვიდან ჩანს, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი არჩევნებზე წასვლას არ აპირებს. ვინც მიდის, მათაც არ აქვთ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული. ამ დროს პრორუსულები თავიანთი მხარდაჭერის მაქსიმალურ მობილიზაციას გამოაცხადებენ და შეძლებენ კიდევაც პარლამენტში შესვლას. დიდი რაოდენობით ვერ შევლენ, მაგრამ მცირე რაოდენობითაც არ უნდა მოხვდეს ასეთი ძალა საკანონმდებლო ორგანოში.

ამის წინააღმდეგ შეიქმნა ჩვენი საარჩევნო ბლოკი და ამ მიზეზით შემოუერთდა ჩვენს ბლოკს პაატა ბურჭულაძე. ის პრობლემები, რომლებიც ამ პარტიას შეექმნა, არაფერ შუაშია. ჩვენ პაატა ბურჭულაძესთან კარგა ხანია ვაწარმოებთ მოლაპარაკებას.



***— მის წინააღმდეგ ახლა სერიოზული შეტევაა დაწყებული. მასთან დაკავშირებით არაერთი უსიამოვნო ინფორმაცია გავრცელდა. ეს თავდასხმები ავტომატურად თქვენს ბლოკზე გადმოვა და არ დაგაზარალებთ?***

— თავდასხმები ხელისუფლებისგან ისედაც არ გვაკლდა. რაც შეეხება პაატა ბურჭულაძის წინააღმდეგ დაწყებულ შავ პიარს, ის გაგრძელდება. ტალახს ჩვენკენაც ისვრიან, მაგრამ არ გვეშინია. ჩვენ ვთვლით, რომ სწორი არჩევანი გავაკეთეთ.

პაატა ბურჭულაძეზე ასეთი ისტერიული შეტევა იმიტომ დაიწყო, რომ ის საზოგადოებაში კარგი ავტორიტეტით სარგებლობს. ეს რეიტინგული კვლევებიდანაც ჩანდა. მის ავტორიტეტს დაემატება ვაშაძისა და ჯაფარიძის პროფესიონალიზმი, რაც ჩვენს ბლოკს სერიოზულ წონას შესძენს. აქამდე თუ ვფიქრობდით, რომ პარლამენტში იმდენი კაცი მაინც შეგვეყვანა, რათა ფრაქცია გაგვეკეთებინა, ახლა უფრო სერიოზული ამბიციები გაგვიჩნდა.

***— არჩევნებისთვის ფულიც საჭიროა. ფულიანი გყავთ ვინმე?***

— ამ ბლოკის შექმნის შემდეგ ფინანსურადაც უკეთესი ვითარება შეიქმნა. მარტივი არითმეტიკაა, რომ 4 პარტია უფრო მეტს ფულს იშოვის და დადებს, ვიდრე ერთი პარტია.

***— საარჩევნო ბლოკის შექმნის შემდეგ ყოველთვის ისმის კითხვა — ვინ იქნება ლიდერი. თქვენთან როგორ არის ამ მხრივ საქმე?***

— ჩვენთან ეს პრობლემა გადაწყვეტილია. თავიდანვე ნათქვამი იყო, რომ გაერთიანება პაატა ბურჭულაძის გარშემო მოხდებოდა. კიდევ ერთხელ ვამბობ, ამ ადამიანს ხალხში დიდი ავტორიტეტი აქვს. ბლოკი მის გარშემო იქნება გაერთიანებული.

***— საარჩევნო სიის ფორმირება როგორ მოხდება? სიის პირველი ნომერიც ის იქნება? ან რა პრინციპით შეარჩევთ მაჟორიტარებს?***

— საარჩევნო სიის შექმნა უკვე აღარ იქნება პრობლემა. სიის პირველი ნომერი შესაძლოა სულაც არ იყოს პაატა ბურჭულაძე. მაჟორიტარების გარშემოც შევთანხმდებით. მთავარია, ბლოკი შეიქმნა, რომლისთვისაც მთავარი გამოწვევა მოსახლეობის გაჭირვება და პრორუსული ძალების გააქტიურებაა.

***— ნაციონალებთან და „ქართულ ოცნებასთან“ არ აპირებთ კონკურენციაში შესვლას?***

— როგორ არა. „ქართულმა ოცნებამ“ საკუთარი თავი თავად ჩაძირა. ნაციონალებიც შავ დღეში არიან. ჩვენ არავის წინააღმდეგ არ გავერთიანებულვართ. ჩვენი მიზანია პოლიტიკაში ახალი, გაუსვრელი ხალხის მოყვანა. პოლიტიკაში სულ ერთი და იგივე სახეები ტრიალებენ. ჩვენ გვინდა, რომ ხალხს ახალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა მივცეთ.

***— ბლოკში თუ დაგემატებათ კიდევ ვინმე?***

— ჩვენ მზად ვართ, ყველასთან ვითანამშრომლოთ, ვინც საქართველოს მომავალს დასავლეთთან ერთად ხედავს. ერთადერთი, ვისთანაც არ ვითანამშრომლებთ, „ქართული ოცნება“ და ნაცმოძრაობა იქნება. ისინი, პრორუსულ ძალებთან ერთად, ჩვენი კონკურენტები იქნებიან.

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!
მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.
სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე
კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი
მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# სოსო ცინცაძე: „სუსტი ოპოზიცია ყველა ხელისუფალს აწყობს, მაგრამ არა ქვეყანას“

ნათია ხურცილავა



პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო სოსო, შესაძლებელია კიდევ ერთი ახალი ოპოზიციური საარჩევნო ბლოკი შეიქმნას პაატა ბურჭულაძეს, ზურაბ ჯაფარიძეს, მამუკა კაციტაძესა და გიორგი ვაშაძეს შორის. ბურჭულაძეს რამდენად აძლევს ხელს ასეთი გაერთიანება?***

– წვრილ-წვრილ, დაქუცმაცებულ ოპოზიციას სჯობია თუნდაც ამორფული, თუნდაც დროებითი გაერთიანება. 2012 წელს ოპოზიციის მთავარი მზიდი კონსტრუქცია, სხვა ფაქტორებთან ერთად, მაინც იყო ერთობა, კოალიცია. ეს კარგად იცოდა ბიძინა ივანიშვილმა. კოალიცია იქცა გამარჯვების გარანტად. ამიტომ, რაც ნაკლები იქნება ორკაციანი პარტიები, მით უკეთესია. მსხვილი, ძლიერი ოპოზიციური გაერთიანება ყოველთვის ანგარიშგასაწევი ძალაა ხელისუფლებისთვის, ვიდრე ურეიტინგო თითოკაციანი პარტიები. გადახედეთ ამერიკას, ევროპას, იქ როგორ არის, ძლიერი ორპარტიული სისტემა როგორ ცვლის ერთმანეთს.

***– ქართული პოლიტიკის აქილევსის ქუსლი თითოკაციანი, ურეიტინგო პარტიებია?***

– არა მხოლოდ ქართული პოლიტიკის, წვრილ-წვრილი პარტიები პოსტსაბჭოთა სივრცის ავადმყოფობაა. თუნდაც რუსეთის მაგალითი ავიღოთ. რა არის რუსეთის მთავარი ტრაგედია? – მსხვილი, ძლიერი ოპოზიციური გაერთიანების არარსებობა. ასეა ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანსა და სომხეთშიც. ბალტიისპირეთი უკვე გადადის ძლიერ ოპოზიციურ გაერთიანებაზე. დაქუცმაცებული, სუსტი ოპოზიცია ყველა ხელისუფალს აწყობს, მაგრამ არ აწყობს ქვეყანას.

ქვეყნის დემოკრატიული საძირკველი, მისი მომავალი არის ძლიერი, გაერთიანებული ოპოზიცია, რომლის შემხედვარე მმართველი ძალა იძულებულია, უფრო მეტი იფიქროს იმაზე, რომ შეცდომები არ დაუშვას. როდესაც მმართველ პარტიას არ ჰყავს ძლიერი კრიტიკოსი, ჩასაფრებული ოპოზიცია, ის არ ფიქრობს იმაზე, რომ რაც შეიძლება ნაკლები შეცდომა დაუშვას, ის ფიქრობს, რომ მომავალ არჩევნებში მაინც გაიმარჯვებს.

***– დღეს რა ვითარებაა ამ კუთხით?***

– ზუსტად ის ვითარებაა, რაზეც ახლა ვსაუბრობ. დღეს ხელისუფლებამ, „ქართულმა ოცნებამ“ იცის, რომ უალტერნატივოა, რომ ის მაინც გაიმარჯვებს ამ არჩევნებში. მოსახლეობის დიდ უმრავლესობას, 60%-ზე მეტს, არ მოსწონს მმართველი პარტია, რადგან მას არ აქვს გადაწყვეტილება მიღებული, თუ ვის მისცემს ხმას, მაგრამ ვერც მასზე უკეთესს ხედავს საარჩევნო ველზე და იძულებულია, რომ სწორედ „ქართულ ოცნებას“ მისცეს ხმა. ამიტომ, დიდი ალბათობით, 8 ოქტომბრის არჩევნებში ისევ „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს.

დღეს მოსახლეობა ოპოზიციითაც იმედგაცრუებულია. როდესაც ოპოზიცია არაქმედებაუნარიანია, მაშინ რაში სჭირდება მმართველ პარტიას, იფიქროს გაძლიერებაზე? ის მაინც უალტერნატივოა. „ქართული ოცნება“ არ არის ძლიერი, მაგრამ მისი კონკურენტები უფრო სუსტები არიან.

***– პაატა ბურჭულაძის ფიგურაზე რა აზრის ხართ?***

– პაატა ბურჭულაძე შეუძლებელია დასჯერდეს მხოლოდ დეპუტატის მანდატს. არა მგონია, მისი ბროლის ოცნება იყოს, რომ პარლამენტში იჯდეს და ხან მწვანე ღილაკს მიაჭიროს თითი და ხან – წითელს. არა მგონია, მთელი ნალოლიავები კარიერა, მსოფლიო ბანის ტიტული დეპუტატის მანდატში გაცვალოს. ბურჭულაძე მსოფლიო საოპერო სცენის ერთ-ერთ მოკაშკაშე ვარსკვლავად მაინც რჩება.

მახსოვს, ლონდონში კონცერტის შემდეგ რუსი ჟურნალისტი, პავაროტით აღფრთოვანებული, როგორ მივიდა მასთან ინტერვიუს ჩასაწერად, პავაროტიმ კი უთხრა: მე მივდივარ და ბურჭულაძე მოდისო. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ბურჭულაძეს მაინც გაუჭირდება ამ წარმატების კონვერტაცია პოლიტიკაში, რადგან პოლიტიკა სრულიად განსხვავებული ხელოვნებაა. ბურჭულაძის ეს ოქროს წლები, ეს ვარსკვლავური წლები, მაინც უკან არის, წინ არ არის. პოლიტიკა არ არის არც ხელოვანისა და არც სპორტსმენის საქმე. პოლიტიკა სრულიად განსხვავებული სფეროა.

# ლაგოდეხის ნაკრძალში რეინჯერებს თავს დაესხნენ

## ვინ ემუქრება გიორგი სულამანიძეს

კარაბინებით შეიარაღებული ნიღბიანი ბრაკონიერები ლაგოდეხის ნაკრძალში თავს დაესხნენ რეინჯერებს, რომლებიც მათ დაკავებას ცდილობდნენ.

ერთ-ერთ რეინჯერს გიორგი გელაშვილს თავის არეში ჭრილობა მიაყენეს. დაზარალებულ რეინჯერს საავადმყოფოში თავზე რამდენიმე ნაკერის დადება დასჭირდა.

ინციდენტი 8 აგვისტოს მოხდა. ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის უფროსის გიორგი სულამანიძის თქმით, 7-8 აგვისტოს რეინჯერები ანტიბრაკონიერულ ღონისძიებას ატარებდნენ.

– 4 რეინჯერი იყო თავიდან ჩართული. თავდაპირველი ინფორმაციით, ნაკრძალში სანადიროდ შესული იყო 2 ბრაკონიერი. როგორც ბოლოს გაირკვა, კონკრეტულ ხეობაში ორი სხვადასხვა ჯგუფი იყო შესული, პირველი ორკაციანი ჯგუფი 7 აგვისტოს დილით, მეორე ოთხკაციანი ჯგუფი, რომლებიც 8 აგვისტოს შევიდნენ და გამოსვლისას რეინჯერების „ჩასაფრებაში“ მოყვნენ.

ბრაკონიერები ზემოდან ქვემოთ ეშვებოდნენ ნიღბებითა და კარაბინებით შეიარაღებულები. რეინჯერების დანახვისას იარაღები გადაუტენეს რეინჯერებს და ქვები დაუგორეს.

ქვათა ცვენაში 1 რეინჯერი დაგვიზიანდა. ქვა თავში მოხვდა და ჭრილობა მიაყენა. რადგან ძალთა ბალანსი თანაბარი იყო და 1 რეინჯერი დაზიანებული, უსაფრთხოების პროტოკოლით, რეინჯერებმა დევნა არ განახორციელეს. დაზიანებული რეინჯერი საავადმყოფოში გადავიყვანეთ, სადაც ჭრილობა დაუმუშავდა და ნაკერები დაედო, – უთხრა კახეთის საინფორმაციო ცენტრს გიორგი სულამანიძემ.

მომხდართან დაკავშირებით ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციამ გარემოს დაცვის სამინისტროს აცნობა, სამინისტრომ – პოლიციას. ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლით დაიწყო, რაც ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, პოლიციამ რეინჯერების დახმარებით პირველი ორკაციანი ჯგუფის ორივე წევრი დააკავა. ისინი შეიარაღებულები იყვნენ. მათი საცხოვრებელი სახლიდან ჯიხვის ხორცი ამოიღეს. ამის მიუხედავად, პოლიციამ ისინი ხელწერილით გაათავისუფლა.

რაც შეეხება რეინჯერებზე თავდასხმის ფაქტს, პოლიციას ამ დრომდე არ დაუდგენია ბრაკონიერთა ოთხკაციანი ჯგუფის წევრების ვინაობა, რომლებმაც რეინჯერს სხეულის დაზიანება მიაყენეს. უფრო მეტიც, დაზუსტებული ინფორმაციით, გამოძიებას ანტიბრაკონიერულ ღონისძიებაში მონაწილე რეინჯერები ამ დრომდე არ დაუკითხავს. შსს-ში აცხადებენ, რომ რეინჯერები დაკითხულები არიან.



გიორგი სულამანიძის თქმით, ბოლო წლების აქტიური მუშაობის შედეგად, დაცულ ტერიტორიაზე ნადირი საკმაოდ კარგად გამრავლდა და მათ სანახავად შორს წასვლაც აღარაა საჭირო. ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის უფროსი ვარაუდობს, რომ ეს არის ბოლო 2 თვეში ბრაკონიერების საგრძნობი გააქტიურების მიზეზი.

– მხოლოდ ბოლო 10 დღის განმავლობაში 6 ანტიბრაკონიერული ღონისძიება ჩავატარეთ. ჩვენ საქართველოს მომავალს, საგანძურს ვიცავთ, გვაქვს სახელმწიფოს და საზოგადოების მხარდაჭერა, გვყავს მაგარი გუნდი და გავაგრძელებთ მუშაობას კიდევ უფრო დიდი შემართებით და მონდომებით. არ მივცემთ ბრაკონიერებს 90-იანი წლების განმეორების შესაძლებლობას.

90-იან წლებში ბრაკონიერობის შედეგად ლაგოდეხის ნაკრძალში მსხვილ ძუძუმწოვართა რაოდენობა კატასტროფულად შემცირდა, მაგალითად, 1989 წლის აღრიცხვებით აქ 1.400 ირემი და 2.500 აღმოსავლეთ კავკასიური ჯიხვი ბინადრობდა. ხოლო 1999 წლის აღრიცხვებით 70 ირემი და 120 ჯიხვი იყო დარჩენილი, – აღნიშნავს სულამანიძე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიაზე ვიზიტორების მზარდი რაოდენობა. 2015 წელს ლაგოდეხის ნაკრძალს 45.000 ვიზიტორი ეწვია, მიმდინარე წელს კი უკვე 12%-იანი მატებაა.

– ვიზიტორების რაოდენობის გაზრდა მოსახლეობას ძალიან ეხმარება სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში. წელს 8 ახალი საოჯახო ტიპის სასტუმრო გაიხსნა, დაახლოებით 30 ადამიანი აქირავებს ცხენებს, რომ არაფერი ვთქვათ კვების ობიექტებზე, ტრანსპორტირებაზე, გამყოლებზე და სხვაზე, – ამბობს გიორგი სულამანიძე.

* * *

ლაგოდეხის ნაკრძალის რეინჯერებზე 8 აგვისტოს მომხდარ თავდასხმის ფაქტზე გარემოს დაცვის სამინისტროს ინფორმაცია არ გაუვრცელებია და არც სამინისტროს რომელიმე ხელმძღვანელს გამოუთქვამს რეინჯერების მიმართ საჯაროდ მხარდაჭერა.

2015 წლის აპრილში გიორგი სულამანიძეს ავტომობილის საბარგულში ხელყუმბარა ჩაუდეს წარწერით – წადი!

ხელყუმბარა ნახევრად საბრძოლო მდგომარეობაში იყო.

სულამანიძე აფეთქებას გადაურჩა, რადგან ხელყუმბარა მისმა მოადგილემ შენიშნა. პოლიციას აღნიშნული საქმე დღემდე არ აქვს გამოძიებული.

ეს ფაქტი გიორგი სულამანიძეზე განხორციელებული მუქარის პირველი შემთხვევა არ ყოფილა. მანამდე მის სამსახურებრივ ავტომობილს დაუდგენელმა პირმა მუხრუჭის შლანგი გადაუჭრა. გამოძიება ამ ფაქტზეც დაიწყო, მაგრამ მოგვიანებით პოლიციამ ძიება იმ მიზეზით შეწყვიტა, რომ მიყენებული ზიანი 70 ლარს არ აღემატებოდა.

ნაკრძალის დირექტორი მუქარას ბრაკონიერების წინააღმდეგ ბრძოლას უკავშირებს.

* * *

ამ დრომდე ლაგოდეხის პოლიციაში მუშაობს გამომძიებლად 29 წლის ბაკურ ბაკაშვილი, რომელიც ლაგოდეხის ნაკრძალში შემჩნეულია ბრაკონიერობაში და რეინჯერების მიმართ მუქარებსაც არ იშურებს.

– უახლოეს ხანში ჩემი შვილი (7 წლის გოგონა) მიმყავს ღორზე სანადიროდ და საქართველოში ყველა სამსახურს ვურჩევ, წინ არ გადამეღობონ, იქ ჩემი შვილი იქნება... ვაი, რომ ცხელ ტყვიას გავუტარებ შუბლში და მერე იკითხონ, ვის რამხელა პატრონი ჰყავს. გამზრდელს ავუფეთქებ ყველას, მაგ დროს არ მომინდომონ სამსახურებრივი ჩათვლები, პლუსები და პრემიები, კუბოში ჩავაწვენ ყველას.

დეტექტივ გამომძიებელმა ბაკაშვილმა ფეისბუქში ეს სტატუსი 8 იანვარს გამოაქვეყნა და მალევე, მას შემდეგ წაშალა, რაც მუქარის შემცველი განცხადებით კახეთის საინფორმაციო ცენტრი დაინტერესდა. სტატიის გამოქვეყნების შემდეგ, შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა ბაკურ ბაკაშვილს მხოლოდ საყვედური გამოუცხადა. ის სამსახურიდანაც კი არ გაათავისუფლეს.

დაცულ ტერიტორიებზე ბრაკონიერობაში მხოლოდ გამომძიებლები არ არიან შემჩნეული. 2015 წლის 30 ნოემბერს კახეთის საინფორმაციო ცენტრმა გაავრცელა ფოტოები, საიდანაც ჩანს, რომ ლაგოდეხის, ყვარლის და გურჯაანის რაიონულმა პროკურორმა ლევან ღვედაშვილმა, პროკურატურის სხვა თანამშრომლებთან ერთად, წითელ ნუსხაში შეტანილ დათვზე ინადირა.

პირი, რომელმაც ფოტომასალა მოგვაწოდა, ირწმუნებოდა, რომ პროკურორებმა სხვადასხვა დროს, რამდენიმე დათვი, ახმეტის რაიონში, ბაწარა-ბაბანეურის ნაკრძალში მოკლეს. დათვზე ნადირობის ამსახველი ფოტოები იმ პერიოდშია გადაღებული, როცა ლევან ღვედაშვილი თელავის პროკურატურის პროკურორი იყო.

მასალის გამოქვეყნების შემდეგ მთავარი პროკურატურის გენერალურმა ინსპექციამ საქმის შესწავლა დაიწყო, თუმცა ლევან ღვედაშვილი ორი თვის განმავლობაში თანამდებობაზე რჩებოდა. ის მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის უფროსის ბაკურ აბულაძის მეგობარია.

მიუხედავად იმისა, რომ პროკურორის ბრაკონიერობის მამხილებელი ფოტოების ავთენტურობა ვერავინ უარყო, პროკურორი ღვედაშვილი აცხადებდა, რომ მას დათვზე უკანონო ნადირობაში არასდროს მიუღია მონაწილეობა და არც მედიით გავრცელებულ ფოტოსურათებზე ასახული ცხოველების მოკვლასთან კავშირს ადასტურებს, მაგრამ პროკურატურის იმიჯზე ზრუნავს და ამიტომაც მიმართა მთავარ პროკურორს თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

თანამდებობიდან ის პირადი განცხადების საფუძველზე გაათავისუფლეს. არაერთი მიმართვის მიუხედავად, კახეთის საინფორმაციო ცენტრმა ვერ მიიღო პროკურატურიდან განმარტება, რა დასკვნა დადო გენერალურმა ინსპექციამ.

მურა დათვი საქართველოს წითელ ნუსხაშია შეტანილი. გარდა იმისა, რომ დათვის უკანონოდ მოპოვება სისხლის სამართლის დანაშაულია და ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე, გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკის თანახმად, ერთი დათვის უკანონოდ მოპოვებით გარემოსთვის მიყენებული ზიანის თანხა 50.000 ლარს შეადგენს. გარემოს დაცვის სამინისტროს ლევან ღვედაშვილისგან ზიანის ანაზღაურება არ მოუთხოვია.

კახეთის საინფორმაციო ცენტრს აქვს უტყუარი ინფორმაცია, რომ დაცულ ტერიტორიებზე წითელ ნუსხაში შეტანილ ნადირზე საოლქო პროკურატურის სხვა მაღალჩინოსნებიც ნადირობენ.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

## ზვიად ძიძიგური: „უსუფაშვილის ინიციატივის მიზანი ამომრჩევლის ყურადღების მიპყრობაა“

კონსერვატორთა ლიდერ ზვიად ძიძიგურის შეფასებით, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილის საკონსტიტუციო წინადადება რესპუბლიკური პარტიის საარჩევნო ნაწილს წარმოადგენს.

**ზვიად ძიძიგური:**

– პირველ რიგში, აღვნიშნავ იმას, რომ რუსული გავლენები და განწყობები საქართველოში არ გაზრდილა. ამაში მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული და ამას 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგები დაადასტურებს.

რუსული განწყობები მოსახლეობის რაღაც რაოდენობაში იყო და კიდევ დიდხანს შეიძლება იყოს, მაგრამ რაიმე მნიშვნელოვან ცვლილებებს ამ მიმართულებით მე ვერ ვხედავ. რაც შეეხება კონსტიტუციაში ჩანაწერების გაკეთებას, ეს არის ძალიან მარტივად გადასაწყვეტი საკითხი.

ახლოვდება არჩევნები და მიმდინარეობს მანიპულირება: აბა, დასავლეთისკენ თუ აბა, უბლოკო საქართველოსკენ. ეს არის საარჩევნო აქტივობა და საკუთარი ამომრჩევლის მეტად მოზიდვის მცდელობა.

**ინტერპრესნიუსი**

# ჯემალ გამახარია: „უმაღლეს საბჭოს აირჩევენ მაშინ, როცა აფხაზეთში დავბრუნდებით“

გულიკო ბალაძე

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ჯემალ გამახარია** არასამთავრობო ორგანიზაცია „აფხაზეთის უმაღლესი საზოგადოებრივი საბჭოს“ წარმომადგენელთა საკონსტიტუციო სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს ვერ ხედავს.

— საქართველოს კონსტიტუცია არ ითვალისწინებს დევნილობაში სახელისუფლებო სტრუქტურების არსებობას. ეს კონსტიტუციის საკითხი კი არა, პოლიტიკის საკითხია. რა უნდა გააუქმოს საკონსტიტუციო სასამართლომ, — აცხადებს ჯემალ გამახარია „ახალ თაობასთან“.

***— ბატონო ჯემალ, არასამთავრობო ორგანიზაცია „აფხაზეთის უმაღლესი საზოგადოებრივი საბჭოს“ წარმომადგენლებმა საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შეიტანეს, რომლის მიზანია გარკვეული დოკუმენტების გაუქმება და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ახალი არჩევნების ჩატარება. თქვენი პოზიცია როგორია ამ საკითხთან დაკავშირებით?***

— ჩვენ მიგვაჩნია, რომ აფხაზეთის ხელისუფლების არჩევნები მხოლოდ აფხაზეთში უნდა ჩატარდეს. სხვაგან აფხაზეთის ხელისუფლების არჩევნები ვერანაირად ვერ ჩატარდება. ამის არანაირი სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

***— მოსარჩელეები აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ნაწილის განახლებასა და ნაწილის ხელშეუხებლად დატოვებას მოითხოვენ.***

— ეს თავისუფალი დემოკრატების პოზიციაა. მსგავსი მოსაზრება ადრეც არსებობდა. ჩვენ ყოველთვის ვამბობდით და დღესაც ვიმეორებთ, რომ აფხაზეთის ტერიტორიის გარეთ აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს ვერ აირჩევ. გამორიცხულია, ეს ვერ მოხდება, მაგრამ დევნილთა წარმომადგენლობა შეიძლება იყოს არჩეული. რაღაც ფორმა შეიძლება მოიძებნოს. როდესაც საუბარია განახლებაზე, ამას ძალიან სერიოზული მუშაობა სჭირდება.

***— რას გულისხმობთ?***

— მხედველობაში მაქვს შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შექმნა, მაგრამ უმაღლესი საბჭო ამას ვერ გააკეთებს. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებაში არ შედის არჩევნების ჩატარება. საქართველოს პარლამენტს განსაზღვრული აქვს, რა უნდა აკეთოს უმაღლესმა საბჭომ დევნილობაში. ამ ჩამონათვალში არჩევნების ჩატარება არ არის შეტანილი.

აღნიშნული საკითხი მხოლოდ პარლამენტის პრეროგატივა შეიძლება იყოს, მაგრამ, კონსტიტუციის მიხედვით, პარლამენტსაც არ აქვს აფხაზეთის არც უმაღლესი საბჭოს არჩევნების დანიშვნის, არც დევნილთა წარმომადგენლობის არჩევნების დანიშვნის უფლება. საკონსტიტუციო ცვლილებებია საჭირო. ასე რომ, ეს ურთულესი საკითხია. დევნილთა ნაწილს ამის განხორციელება იოლად წარმოუდგენია, მაგრამ აქ სამართლებრივი თვალსაზრისით გამოსავალი, უბრალოდ, არ არსებობს, თუ მართლა ახალი ნორმა არ მიიღეს და კონსტიტუციაში არ შევიდა ცვლილება.



***— როგორც ვიცი, სარჩელით მოითხოვენ გასული საუკუნის 90-იანი წლებში მიღებული საქართველოს პარლამენტის დადგენილების გაუქმებას, რითაც განისაზღვრა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილება დევნილობაში.***

— დიახ, 1995 წლის დადგენილებით განსაზღვრულ უფლებამოსილებაში არჩევნების ჩატარება არ არის განსაზღვრული.

***— თუკი საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წინააღმდეგობაა საქართველოს კონსტიტუციასა და ამ დადგენილებას შორის და გააუქმებს, მაშინ რა რეალობის წინაშე დადგებით?***



— გამორიცხულია, ასეთი რამ მოხდეს. საქართველოს კონსტიტუცია არ ითვალისწინებს დევნილობაში სახელისუფლებო სტრუქტურების არსებობას. ეს კონსტიტუციის საკითხი კი არ არის, პოლიტიკის საკითხია. რა უნდა გააუქმოს საკონსტიტუციო სასამართლომ? კონსტიტუციის რომელი მუხლი ირღვევა ამით? რომელ მუხლთან უნდა მოვიდეს შესაბამისობაში დევნილი ხელისუფლების არსებობა? საქართველოს კონსტიტუციაში არ არსებობს ისეთი მუხლი, რომელიც ჩვენ დავარღვიეთ ჩვენი არსებობით. კონსტიტუციის რომელ მუხლთან უნდა მოვიდეს შესაბამისობაში დევნილი ხელისუფლების ფორმირების წესი? ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს.

ეს არ არის საკონსტიტუციო საკითხი და, შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს საკითხი. დარწმუნებული ვარ, საკონსტიტუციო სასამართლო მიიღებს იმ გადაწყვეტილებას, რომელიც უნდა მიიღოს.

***— რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს საკონსტიტუციო სასამართლომ? თუკი იმ დოკუმენტის არსებობა, რომლითაც თქვენი ფუნქციონირება განისაზღვრა დევნილობაში, შეუსაბამოა საქართველოს კონსტიტუციასთან?***

— მე არ ვამბობ, რომ შეუსაბამოა. შეუსაბამოა მაშინ, თუ კონსტიტუციით განსაზღვრულია დევნილი ხელისუფლების ფუნქციები, ფორმირების წესი და თუ ჩვენ ეს დავარღვიეთ, მაშინ საკონსტიტუციო სასამართლოს განსახილველი საკითხი იქნება, მაგრამ ჩვენ ვართ პოლიტიკური გადაწყვეტილების შედეგად შექმნილი ორგანო და დიდი ხანია ვფუნქციონირებთ.

1995 წლის დეკემბერში პარლამენტმა მიიღო ახალი გადაწყვეტილება, რომ ჩვენი უფლებამოსილება გრძელდება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე. ანალოგიურადაა განსაზღვრული კოდორის ხეობის ადგილობრივი საკრებულოების უფლებამოსილება და სამაჩაბლოდან დევნილი საკრებულოების უფლებამოსილება. აქ არანაირი წინააღმდეგობა კონსტიტუციასთან არ არსებობს.

***— თქვენი ოპონენტები აცხადებენ, რომ დევნილებს საარჩევნო უფლება აქვთ ჩამორთმეული და ამის აღდგენისთვის იბრძვიან.***

— ეს არის სიცრუე.

***— რატომ? აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს ხომ ვერ ირჩევენ?***

— ჯერ ერთი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სტრუქტურების არჩევის უფლება დევნილებს ჩამოართვა რუსეთმა, რომელმაც აფხაზეთის ტერიტორიის ოკუპაცია მოახდინა. ეს შეიძლება გასაჩივრდეს საერთაშორისო სასამართლოში, რაც სულ სხვა საკითხია. დევნილს, რომელიც საქართველოს არაოკუპირებულ ტერიტორიაზე იმყოფება, აქვს საშუალება, აირჩიოს იმ სოფლისა და რაიონის საკრებულო, საქართველოს პარლამენტი და პრეზიდენტი.

***— დევნილები, კონკრეტულად, უმაღლესი საბჭოს არჩევის უფლების წართმევაზე საუბრობენ.***

— უმაღლეს საბჭოს აირჩევენ მაშინ, როცა აფხაზეთში დავბრუნდებით. წარმოიდგინეთ დევნილი, რომელიც ცხოვრობს თბილისში, მან უნდა აირჩიოს ადგილობრივი საკრებულოც და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოც. როგორ შეიძლება, ერთდროულად ორი ადგილობრივი სახელისუფლებო ორგანო აირჩიო? დევნილებს არანაირი საარჩევნო უფლება ჩამორთმეული არ აქვთ. ეს არის მოგონილი და სრული სიცრუე.

აფხაზეთის ხელისუფლება მხოლოდ აფხაზეთში შეიძლება აირჩეს. მაშინ უკვე თბილისელი დევნილი ადგილობრივ ხელისუფლებას აირჩევს. დევნილთა გარკვეულ ნაწილს, რომელიც სარჩელს წერს, წარმოდგენა არ აქვს სამართალსა და საარჩევნო კანონმდებლობაზე. ასეთი ადამიანების რიცხვი შეიძლება იყოს ერთეულები. ყველამ ყველაფერი იცის, ვერავის ისინი ვერ მოატყუებენ, მით უმეტეს, საკონსტიტუციო სასამართლოს.

# აფხაზეთში ნარკობიზნესს ბრძოლა გამოუცხადეს

## ანექსირებულ რესპუბლიკას ახალი შინაგან საქმეთა მინისტრი ჰყავს

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ წერდა იმის შესახებ, რომ ჩაშლილი რეფერენდუმის შემდეგ და ყოფილ პრემიერ მიქვაბიასათვის უნდობლობის გამოცხადებამდე დე ფაქტო პრემიერმა მთავრობა გადააყენა. ახალი პრემიერი ბესლან ბარციცია.

ამჯერად ფაქტობრივმა პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ პირად შემადგენლობას წარუდგინა შინაგან საქმეთა ახალი მინისტრი — ასლან კობახია, რომელიც ამ სისტემაში დიდი ხანია მუშაობს.

მისი წინამორბედი ლეონიდ ძაპშბა რამდენიმე სკანდალში გაეხვია. მის წინააღმდეგ საპროტესტო აქციები იმართებოდა იმის გამო, რომ მისი უწყების წარმომადგენლებმა სროლა აუტეხეს აფხაზეთის გმირ ჯელიას, როცა ის საკუთარი ავტომანქანით გადაადგილდებოდა. როგორც გაირკვა, მას მოძრაობის წესებიც არ დაურღვევია. ჯელიას მომხრეებმა ძაპშბას გადადგომა ბევრჯერ მოითხოვეს, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწიეს.


ასლან კობახია

ბოლო სკანდალი 10 ივლისის რეფერენდუმს უკავშირდება. შინაგან საქმეთა მაშინდელი მინისტრი დაემუქრა თანამშრომლებს, რომ თუ ისინი ან მათი ოჯახების წევრები რეფერენდუმში მიიღებდნენ მონაწილეობას, მათ სამსახურიდან გაუშვებდნენ. მოკვლევის დასრულებამდე ძაპშბა გადადგა.



რეფერენდუმს უნდა გაერკვია, უნდა თუ არა აფხაზეთის საზოგადოებას ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები.

ეს საკითხი ისევ გაურკვეველია. ამ თემაზე აღარ ჩანს ოპოზიციის აქტიურობაც. სამაგიეროდ, გააქტიურებულია რაულ ხაჯიმბა, რომელმაც ამ ეტაპზე პოზიციები გაიმაგრა.

შინაგან საქმეთა ახალი მინისტრის წარდგენისას ხაჯიმბა ნარკომანიის მტკივნეულ პრობლემასაც შეეხო და ნარკობიზნესთან ბრძოლის დავალებაც გასცა. ხაჯიმბამ ასევე მოითხოვა საგზაო პოლიციის საქმიანობის გაუმჯობესება, რამაც უნდა შეამციროს გახშირებული ავტოსაგზაო შემთხვევები.

ხაჯიმბამ არ გაწირა ლეონიდ ძაპშბა და იგი საკუთარ მრჩევლად დანიშნა სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საკითხებში.

შინაგან საქმეთა ახალმა მინისტრმა პირობა დადო, რომ აფხაზეთის ყველა სამართალდამცავი სტრუქტურა შეურიგებელ ომს გამოუცხადებს ნარკოსაქმოსნებს.

— აფხაზეთში მძიმე კრიმინოგენური სიტუაციაა. პრეზიდენტმა მონიშნა ორიენტირები შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაობაში. ნარკოსაქმოსნები ანადგურებენ სახელმწიფოებრიობასა და ჩვენს ახალგაზრდობას, — აღნიშნა ასლან კობახიამ.

ახალი მინისტრი ლოიალობის გამოჩენასაც აპირებს:

— არასწორი პარკირების გამო შეიძლება ადამიანს შენიშვნა ან განმარტება მივცეთ. რა საჭიროა მაშინვე დაჯარიმება და დასჯა?

დაგეგმილია შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის შეცვლა და ახალი კანონის მიღება შინაგან საქმეთა სამინისტროს შესახებ.

— თუ სისტემას შევცვლით, ყველაფერი გამოგვივა, — ამბობს უწყების ხელმძღვანელი.

ნარკობიზნესთან საბრძოლველად ძალოვნები ერთობლივ გეგმას შეადგენენ, თუმცა მუშაობა მანამდეც დაიწყება. ამისთვის უკვე იქმნება ნარკოტიკებსა და მის მიმოქცევაზე კონტროლის სამმართველო.

ასლან კობახია ირწმუნება, რომ სამართალდამცავები ნარკობიზნესში არ გაერევიან:

— ნარკოსაქმოსნები თავისუფლად ვერ იბოგინებენ, თუ მათ სამხრეებიანი ადამიანების იმედი არ ექნებათ.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# „ცენტრ-პოინტი“ მუშაობას წყვეტს

## სასამართლომ მაია და გუკა რჩეულიშვილები, ასევე ირაკლი მინდელი პატიმრობაში დატოვა



გუშინ, 18 აგვისტოს, თბილისის საქალაქო სასამართლოში „ცენტრ-პოინტის“ დამფუძნებლის მაია რჩეულიშვილის, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის გურამ რჩეულიშვილისა და აჭარის საინვესტიციო პროექტების ხელმძღვანელის ირაკლი მინდელის აღკვეთის ღონისძიების გადასინჯვის პროცესი გაიმართა.

სასამართლომ სამივე ბრალდებული პატიმრობაში დატოვა.

ადვოკატები ბრალდებულებისთვის გირაოს შეფარდების შუამდგომლობით გამოვიდნენ, თუმცა მოსამართლემ მათი არგუმენტაცია არ გაიზიარა.

უფრო კონკრეტულად, ადვოკატები ირაკლი მინდელისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობის 50 ათას ლარიანი გირაოთი შეცვლას, გუკა რჩეულიშვილისთვის 100 ათას ლარიანი გირაოს, მაია რჩეულიშვილისთვის კი 250 ათას ლარიანი გირაოს შეფარდებას მოითხოვდნენ.

* * *

– ჩემი მეუღლე არის ორსულად, ასევე ჰყავს სამი შვილი და გთხოვთ, გაითვალისწინოთ ეს გარემოება, – ასე მიმართა „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გურამ რჩეულიშვილმა მოსამართლეს და სთხოვა, მისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა გირაოთი შეეცვალა.

გურამ რჩეულიშვილის ადვოკატმა სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება გაუქმებულიყო და რჩეულიშვილი სასამართლო დარბაზშივე გათავისუფლებულიყო, ალტერნატივის სახით კი ადვოკატმა გურამ რჩეულიშვილისთვის გირაოს სახით 100 ათასი ლარის შეფარდების შუამდგომლობა დააყენა, რომელიც უზრუნველყოფილი იქნებოდა გურამ რჩეულიშვილის მეუღლის უძრავი ქონებით.

ბრალდებულმა გურამ რჩეულიშვილმა ადვოკატის მიერ დაყენებული შუამდგომლობის შემდეგ მოსამართლეს თავადაც მიმართა.

– მინდა განვმარტო, რომ საზღვარგარეთ ჩემი წასვლა უკავშირდებოდა ჩემს სამსახურებრივ საქმიანობას. მოგეხსენებათ, ვარ პროდიუსერი და ფილმების გადაღების გამო მიწევდა ქვეყნის დატოვება. ბოლო პერიოდში კი არანაირი პროექტი არ მაქვს და, შესაბამისად, საზღვარგარეთაც ვერ წავიდოდი.

ასევე მინდა გითხრათ, რომ ჩემი მეუღლე არის ორსულად, ასევე ჰყავს სამი მცირეწლოვანი შვილი, მარტოა მათთან და ზრდის. ამიტომ, გთხოვთ, ეს გარემოებაც გაითვალისწინოთ გადაწყვეტილების მიღებისას. კიდევ ერთს დავამატებ, თუ ეს გადაწყვეტილება რაიმე სახით შეაფერხებს დედაჩემის, მაია რჩეულიშვილის პროცესს, რა თქმა უნდა, მირჩევნია, რომ ციხეში ვიჯდე, – განაცხადა გურამ რჩეულიშვილმა.

თავად მაია რჩეულიშვილის ინტერესების დამცველმა, მარიამ ცუცქირიძემ, სასამართლოს წინაშე ასევე აღკვეთის ღონისძიების გაუქმების შუამდგომლობა დააყენა, ალტერნატივის სახით კი მოსამართლეს 250.000-ლარიანი გირაო შესთავაზა.

ადვოკატმა პროცესზე განაცხადა ისიც, რომ ინვესტორი თანახმაა, აღნიშნული გირაოს თანხა დაფაროს.

– ინვესტორი თანახმაა, გირაოს თანხა შეიტანოს, ვინაიდან ამბობს, რომ მაია რჩეულიშვილის პატიმრობაში ყოფნის გამო სამშენებლო პროცესი ფერხდება, – აღნიშნა ადვოკატმა.

* * *

– კომპანია „ცენტრ-პოინტი“ მუშაობას წყვეტს.

ამის შესახებ ჟურნალისტებს მაია რჩეულიშვილის მეუღლე ვახტანგ რჩეულიშვილმა სასამართლოს შემდეგ განუცხადა.

როგორც რჩეულიშვილმა აღნიშნა, მაია რჩეულიშვილის პატიმრობაში ყოფნის გამო „ცენტრ-პოინტს“ არ გააჩნია არავითარი სახსრები იმისთვის, რომ თანამშრომლებს ხელფასები გადაუხადოს ან დაზარალებულებს კომპენსაციები მისცეს და მშენებლობები გააგრძელოს.

ვახტანგ რჩეულიშვილის თქმით, კომპანიის მუშაობის შეჩერება დროებითია და ფუნქციონირებას, სავარაუდოდ, არჩევნების შემდეგ გააგრძელებს.

– „ცენტრ-პოინტის“ ქონებაზე მიშა სააკაშვილის დროსაც დედა გვიტირეს და ახლაც იმავეს გვიკეთებენ, – განაცხადა ვახტანგ რჩეულიშვილმა.

მან გაუგებარი უწოდა მაია და გუკა რჩეულიშვილების პატიმრობაში დატოვების შესახებ მოსამართლის გადაწყვეტილებას იმ ფონზე, როდესაც მაია რჩეულიშვილისთვის გირაოს შეფარდებას კომპანია „ცენტრ-პოინტის“ ინვესტორები ითხოვდნენ და სასამართლოს სოლიდურ თანხასაც სთავაზობდნენ.

როგორც რჩეულიშვილმა აღნიშნა, სანამ სასამართლო პროცესები არ დასრულდება, ვერცერთი მენაშენე კომპენსაციას და ვერც ვერაფერს მიიღებს.

– ამ დროს ინვესტორები გვთხოვენ შემოსვლას – მიგვიშვით და ერთადერთი, მხოლოდ მაია გამოუშვითო, რადგან მის გარეშე ჩვენ არ შეგვიძლია ინვესტიციების განხორციელებაო, გირაოს გადახდასაც თავად ითხოვენ და სთავაზობენ, მაგრამ ეს არის სახელმწიფო, რომელსაც, თუ ინვესტორი თავისი ბიძაშვილი და ნათესავი არაა, არაფერი აინტერესებს.

არჩევნებამდე, ალბათ, ახალს არაფერს აღარ უნდა ველოდოთ. კომპანია იკეტება. როგორ ვიმუშაოთ, კაპიკი ვერ შემოდის, ხელმოწერის უფლება არავის აქვს და ამდენი ადამიანის საქმე დაღუპულია პრაქტიკულად. ხელფასს ვერ გავცემთ, არჩევნების შემდგომ ვნახოთ, არ ვიცი, – განაცხადა ვახტანგ რჩეულიშვილმა.

მისივე თქმით, ყველა ხელისუფლების დროს „ცენტრ-პოინტის“ ქონების ხელში ჩაგდების ინტერესი იყო.

– ძალიან მომგებიანია „ცენტრ-პოინტის“ ქონება დღეს. ამ ქონებაზე მიშა სააკაშვილის დროსაც დედა გვიტირეს, წაგვგლიჯეს და წაგვართვეს და ახლაც იმავეს გვიკეთებენ, – განაცხადა ვახტანგ რჩეულიშვილმა.

## მებაჟეებმა 1.322.763 ლარის ღირებულების ოქროს ზოდები აღმოაჩინეს

შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა საბაჟო გამშვები პუნქტის წითელი ხიდის კონტროლის ზონაში, სხვადასხვა სინჯისა და წონის არადეკლარირებული ოქროს ზოდები (19 ცალი) საერთო წონით 18.6 კილოგრამი აღმოაჩინეს.



შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, მებაჟე ოფიცრებმა უკანონო ტვირთი აზერბაიჯანის მოქალაქის, ა.ი-ს სატრანსპორტო საშუალების რენტგენო-სკანერზე გაშუქებისა და დეტალური დათვალიერების შედეგად გამოავლინეს.

ოქროს სხმულები ავტომობილის უკანა სავარძლის საზურგესა და საბარგულს შორის არსებულ სპეციალურ სამალავში აღმოაჩინეს. საქონლის საბაჟო ღირებულებამ 1.322.763 ლარი შეადგინა.

საქმე შემდგომი რეაგირების მიზნით ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.

**ინტერპრესნიუსი**

## შსს-მ სალოცავის ქურდობის ბრალდებით ორი პირი დააკავა

შსს-ს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტისა და კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-




სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1995 წელს დაბადებული ა.ხ. და 1988 წელს დაბადებული ლ.ფ. ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიების ვერსიით, ბრალდებულებმა დუშეთის რაიონის სოფელ უკანხადუში მდებარე სალოცავი გაქურდეს.

მათივე განმარტებით, სამართალდამცველებმა სალოცავიდან მოპარული ნივთები – ვერცხლის სხვადასხვა სახის 79 ნაკეთობა – ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

გამოძიება ქურდობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

**ინტერპრესნიუსი**

## გია ვოლსკი: „ქორწინებაზე პლებისციტის ჩატარების საჭიროებას ვერ ვხედავ“

– პლებისციტის ჩატარების საჭიროებას ვერანაირად ვერ ვხედავ, რადგან ამ თემის გარშემო ყველა მოსამზადებელი სამუშაო ჩატარებულია და 225 ათასი ადამიანის ხელმოწერა არსებობს.




ასე ეხმაურება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი გია ვოლსკი ქორწინების საკითხზე შექმნილი საინიციატივო ჯგუფის პრემიერ-მინისტრისადმი მიმართვას, დანიშნოს პლებისციტი.

**გია ვოლსკი:**

– თქვენ იცით, რომ ქორწინების საკითხთან დაკავშირებით პარლამენტში შეტანილი გვაქვს საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი, რომელიც კენჭისყრამდეა მისული და ეს თემა დღის წესრიგში დგას.

საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის საყოველთაო განხილვებისას შეხვედრები თითქმის ყველა რეგიონში გაიმართა.

საჯარო განხილვის კომისია საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილს შეხვდა, ესაუბრა, მოაწყო საჯარო განხილვები. აქედან გამომდინარე, პლებისციტის შედეგი ჩვენთვის უკვე ცნობილია – ცნობილია საზოგადოების მოსაზრება. დარწმუნებული ვარ, ჩვენ მომავალ პარლამენტში საკმარისი უმრავლესობით მოვალთ და ინიციატივა მიღებული იქნება, მით უფრო, რომ ჩვენს პოზიციას 225 ათასი ადამიანი საკუთარი ხელმოწერით აძლიერებს.

დეპუტატის აზრით, ადამიანთა გარკვეულმა ჯგუფმა პოლიტიკური დივიდენდების მიღების თვალსაზრისით თუ აბსოლუტურად გულწრფელად, საკითხის ბოლომდე მიყვანა გადაწყვიტა, მაგრამ პრობლემა არ არსებობს.

– ეს საკითხი საიმედო ხელშია და აუცილებლად იქნება რეალიზებული, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

მანვე აღნიშნა ისიც, რომ მიმდინარე წლის 6 აპრილს ინტერრელიგიურმა ჯგუფმა გაავრცელა განცხადება, სადაც დაფიქსირებულია, რომ ყოველგვარი კითხვის ნიშანი საქართველოს ევროატლანტიკურ კურსთან დაკავშირებით უნდა მოიხსნას და პროცესს ჩრდილი არ მიადგეს.

ინტერრელიგიურ ჯგუფს ასევე მიაჩნია, რომ კონსტიტუციაში დაზუსტების შეტანა იმისთვისაც არის საჭირო, რომ უმცირესობების მიმართ ნებისმიერი აგრესია მოიხსნას.

– ყოველმხრივ ყველა საფუძველი გაგვაჩნია, რომ მყარად ვიდგეთ ჩვენს პოზიციაზე, – აღნიშნა გია ვოლსკიმ.

ქორწინების საკითხზე რეფერენდუმის ჩატარების საინიციატივო ჯგუფი ამჯერად პრემიერ-მინისტრს მიმართავს. ინიციატორები მთავრობის მეთაურს ქორწინებასთან დაკავშირებით კონსტიტუციაში ახალი ჩანაწერის დაფიქსირების საკითხზე პლებისციტის დანიშვნას სთხოვენ.

როგორც საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა, სოსო მანჯავიძემ განაცხადა, პრემიერს აქვს დისკრეციული უფლება, პლებისციტი დანიშნოს.

**ინტერპრესნიუსი**

## ნინო ბურჯანაძე: „რუსეთის ბაზარი საქართველოს პროდუქციისთვის უნდა გაიხსნას“



დემოკრატიული მოძრაობის ლიდერ ნინო ბურჯანაძის განცხადებით, საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ საქართველომ სწორი პოლიტიკა წარმართოს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე გარეთ.

როგორც ნინო ბურჯანაძემ გუშინ, 18 აგვისტოს, გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ეს პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს იმისკენ, რომ მოგვარდეს საქართველოს ყველაზე მთავარი პრობლემა, რასაც ეხება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა.

**ნინო ბურჯანაძე:**

– ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, რა თქმა უნდა, არის იმის გარანტი, რომ ქვეყანა განვითარდეს სწორად, ქვეყანაში მოგვარდეს ეკონომიკური პრობლემები.

ნარიშკინთან შეხვედრაზე ვისაუბრეთ, რომ მაქსიმალურად სრულყოფილად გაიხსნას რუსეთის ბაზარი საქართველოს პროდუქციისათვის. აღინიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს მოსახლეობა სარგებლობდეს უვიზო მიმოსვლის შესაძლებლობით რუსეთის ფედერაციასთან. ეს არის იმ საკითხების ნუსხა, რომელიც ჩვენ გავიარეთ.

მისივე თქმით, ბუნებრივია, წინ არის ძალიან სერიოზული პროცესი მოლაპარაკებებისა, რომელიც უნდა წარიმართოს ძალიან სერიოზულად.

– მე ვპირდები საქართველოს მოსახლეობას, რომ წარვმართავ ძალიან ფართომასშტაბიან მოლაპარაკებებს და შევძლებ კიდეც, იმ პრობლემების მოგვარება დაიწყოს, რომელიც არის ძალიან მნიშვნელოვანი ჩვენი ქვეყნისა და თითოეული მოქალაქისთვის, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

# ამერიკას თურქეთიდან ბირთვული ჭურვები გააქვს

სოსო ზაალიშვილი





**თურქეთში შექმნილი ურთულესი ვითარება კიდევ უფრო გამძაფრდა მას შემდეგ, რაც, ამერიკის სამხედრო ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ინჯირლიკის სამხედრო საჰაერო ბაზიდან ბირთვული ჭურვების გატანა დაიწყო.**

საინტერესო ისაა, რომ ამერიკაში მცხოვრებ მილიარდერ ფეითჰულა გიულენს ერდოღანის ხელისუფლება ისლამური ფუნდამენტალიზმის პროპაგანდასა და მხარდაჭერაში ადანაშაულებს, თუმცა სამხედროები, რომლებიც თურქეთის ხელისუფლებამ დააპატიმრა, ამ ქვეყანაში ისლამური დიქტატურის დამყარების შეუძლებლობის გარანტები იყვნენ. ერთი მხრივ, ერდოღანი თითქოს ებრძვის ისლამურ ტოტალიტარიზმს, მაგრამ, მეორე მხრივ, ყველაფერს აკეთებს ფუნდამენტური, ტოტალიტარული ისლამური სახელმწიფოს შექმნისთვის.

ის, რომ ერდოღანის ხელისუფლება აღარ წარმოადგენს პარტნიორსა და მოკავშირეს ევროკავშირისა და ნატოსთვის, უკვე ცხადია. თურქეთთან ურთიერთობის გაწყვეტა ყველაზე მძიმე ევროპისთვისაა. ევროპული დიპლომატიის კრახი ამ მიმართულებით აუცილებლად აისახება ევროკავშირის ქვეყნებში მიმდინარე პროცესებზე.

თურქეთის პროცესებში, ისევე, როგორც ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესში, რამდენიმე მხარეა ჩაბმული – რუსეთი, ირანი, სირია, ევროკავშირი, აშშ და ისრაელი.

ყველა ქვეყანა საკუთარ ინტერესებსა და პროცესების განვითარების სცენარს უჭერს მხარს.

აშშ-სთვის აუცილებელია, თურქეთში ვითარება დაუბრუნდეს რუსეთთან, ისრაელთან და ეგვიპტესთან ურთიერთობების მოგვარებამდე არსებულ ვითარებას, როდესაც თურქეთის ხელისუფლება, მიუხედავად ისლამურ სახელმწიფოსთან ბიზნესკავშირებისა, აქტიურად მონაწილეობდა სირიის პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის წინააღმდეგ დაწყებულ ბრძოლაში სირიის გათავისუფლების არმიასთან და სხვა ჯიჰადისტურ ორგანიზაციებთან ერთად.

რუსეთისთვის აუცილებელია, ერდოღანმა შეასრულოს სანკტ-პეტერბურგში დადებული პირობა, რომ ის რუსეთთან და ირანთან ერთად მიიღებს მონაწილეობას მეზობელ ქვეყანაში მიმდინარე დაპირისპირებაში. აგრეთვე რუსეთის ინტერესებშია, თურქეთიდან საფრთხე არ შეექმნას რუსეთის სამხრეთ ტერიტორიებს ჩრდილო კავკასიაში. რამდენიმე დღის წინ სანკტ-პეტერბურგში განადგურებული და დაკავებული ჩრდილოკავკასიელი მოჯაჰედების არსებობა ადასტურებს, რომ კავკასიაში გარე მხარდაჭერის შემთხვევაში კვლავ შესაძლოა დაიწყოს, სულ მცირე, დივერსიული და, უარეს შემთხვევაში, საბრძოლო მოქმედებები.

აგრეთვე რუსეთის ინტერესებშია თურქეთში სიტუაციის იმგვარად მოგვარება, რომ პოსტკრიზისულმა ხელისუფლებამ გააგრძელოს ევროპაში რუსული და ირანული ბუნებრივი აირის ტრანსპორტირების გეგმაზე მუშაობა.

ისრაელისთვის მეტად მნიშვნელოვანია რეგიონში სტაბილური ვითარება, რადგან კიდევ ერთი საბრძოლო მოქმედებების პოლიგონის შექმნა მის უსაფრთხოებას უქმნის პრობლემას. თურქეთის ხელისუფლების მიერ ურთიერთობის მოგვარებაზე დაწყებული საუბარი არ ნიშნავს თურქეთში არსებული საბრძოლო დანაყოფების ხელმძღვანელთა პოზიციას. შესაძლოა, ერდოღანი თანახმაა ურთიერთობის მოგვარებაზე, მაგრამ, არა მგონია, ერდოღანის მომხრე ან მოწინააღმდეგე სალაფიტურ ორგანიზაციას ეს შეთანხმება ეპიტნავებოდეს. ისრაელი მხარს იმას დაუჭერს, ვინც სიტუაციის კონტროლს შეძლებს.

ამერიკელებისთვის აუცილებელია ერდოღანის შეცვლა. ამ ქვეყანაში მიმდინარე დაპირისპირება აშშ-ის უსაფრთხოებას არაფრით ემუქრება, პირიქით, თურქეთში დაწყებული არეულობა მას საშუალებას აძლევს, უფრო მეტი გავლენა იქონიოს ევროკავშირის ქვეყნებსა და რუსეთზე.

❖ ❖ ❖

თურქეთში შექმნილი ვითარება სიტუაციის განვითარების რამდენიმე სცენარს ითვალისწინებს, რომელიც საქართველოსთვის საფრთხის შემცველია. თურქეთში ერდოღანის ხელისუფლების გაძლიერება და მისი მომხრეების გამალებული შეიარაღება ავტომატურად გაზრდის ამ ქვეყანაში არსებული ექსტრემისტული ძალების მადას.

დღეისთვის თურქეთში სიტუაციის მოგვარების მხოლოდ ერთი გზა ჩანს. ეს ჩეჩნეთისა და ეგვიპტის სცენარის სიტუაციის ანალოგიური მოქმედებაა. ძლიერი ლიდერის პოვნა, რომელიც შეძლებს სტაბილურობის შენარჩუნებას ქვეყანაში, რათა არეულობის სინდრომი ჩრდილოეთით, საქართველოსა და რუსეთისაკენ, ხოლო დასავლეთით ევროპისაკენ არ გადავიდეს. კადიროვმა, მიუხედავად მისი არაჰუმანური მეთოდებისა, შეძლო ჩრდილოკავკასიის ამ ამბოხებულ ქვეყანაში შედარებით სტაბილური ვითარების დამყარება, ისევე, როგორც ამას მუამარ კადაფი ლიბიაში, ბაშარ ალ-ასადი სირიაში ახერხებდა არაბული გაზაფხულის დაწყებამდე. ერდოღანი უსაფრთხოებისა და მასთან შეთანხმებული მემკვიდრის შერჩევის შემთხვევაში, ალბათ, ხელისუფლების დათმობას დათანხმდება.

თუმცა, სანამ დასავლეთი და რუსეთი ასეთ კანდიდატს შეარჩევენ, თურქეთში სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბება და შესაძლოა კრიტიკულ ზღვარსაც მიაღწიოს, როდესაც გარედან ჩარევა გახდება საჭირო.

## მედიცინა



### მიირთვით ბევრი კომში, ვაშლი და მოცხარი

კომში შეიცავს კალციუმს, მაგნიუმს, კალიუმს, ვიტამინ ცე-ს, ვაშლისა და ლიმონის მჟავებს, მდიდარია პექტინით, რომელიც დადებითად მოქმედებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტზე; საჭმლის მონელების სისტემის მოშლის დროს მიირთვით კომში. ის ანტისეპტიკური, შარდმდენი და სისხლდენის შემაჩერებელი საშუალებაა. კალიუმის დიდი რაოდენობის გამო, სასარგებლოა გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებისა და ჰიპერტონიის დროს. მისი მიღება კარგია ასევე, ასთმის დროს, ამაგრებს გულის კუნთს, დადებითად მოქმედებს ღვიძლისა და კუჭის მუშაობაზე.



ვაშლის ან მისი წვენის რეგულარული მიღება იცავს თავის ტვინის უჯრედებს დაზიანებისგან. მოხუცებულობის დროს კარგია დაქვეითებული მეხსიერების აღსადგენად, რადგან ის დადებითად მოქმედებს თავის ტვინზე.

მოცხარი მდიდარია ჯანმრთელობისთვის საჭირო B, C, D, E, K და PP ვიტამინებით. შეიცავს ბიოლოგიურად აქტიურ 600-მდე ნივთიერებას. ამის გამო ის ააქტიურებს სისხლის წარმოქმნას, გამოდევნის ორგანიზმიდან მარილებს, კარგია ავიტამინოზისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების სამკურნალოდ. შავი მოცხარი არეგულირებს წნევას, ხელს უშლის სახსრების ანთებასა და ალერგიას.

წითელი მოცხარი კი კლავს წყურვილს, ორგანიზმიდან გამოდევნის ტოქსინებსა და წიდებს.

### ბოლოკი – ანტიდეპრესანტი

ბოლოკში ბევრი უჯრედისია, აქვს ბაქტერიოციდული თვისებები, აკავებს მიკროორგანიზმების ზრდას, ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლას და აუმჯობესებს საჭმლის მონელებას. ამცირებს შაქრის დონეს სისხლში, ამაგრებს კაპილარებს. განსაკუთრებით სასარგებლოა ზეთმოსხმული ბოლოკი. ხოლო იმ სალათებს, რომელშიც ბევრი კამა, ოხრახუში და სხვა სანელებლებია, ორგანიზმი იოლად ითვისებს.

თუ კუჭ-ნაწლავი გაწუხებთ, ბოლოკის წვენი უნდა მიიღოთ სტაფილოს წვენთან ერთად. შეგიძლიათ მას მწიკვი მარილიც დაუმატოთ. ნაზავი დალიეთ ერთი სუფრის კოვზი, დღეში სამჯერ. ეს წვენი კარგია სისხლნაკლებობის დროსაც.

ბოლოკი კარგი ანტიდეპრესანტიცაა. ამიტომ, თუ გუნება-განწყობა გაგიუარესდათ, გირჩევთ ჭამოთ ბოლოკისა და მწვანილის ზეთმოსხმული სალათა.

### გოგრა სისხლის ნაკლებობას შეგივსებთ

სამკურნალო თვალსაზრისით ეს ნარინჯისფერი ნაყოფი ფასდაუდებელია. გოგრის რბილობი შეიცავს პექტინებს, ნახშირწყლებს, ცილებსა და კაროტინს, ვიტამინებს: C, B1, B2, B6, E, PP. მის შემადგენლობაში შედის აგრეთვე ფოსფორის მარილები, კალიუმი, კალციუმი, რკინა, მაგნიუმი, სპილენძი, სილიციუმი. ნივთიერებათა ეს კომპლექტი გოგრის სამკურნალო ეფექტს განაპირობებს. ის დიდი წარმატებით გამოიყენება დიეტურ კვებაში სხვადასხვა დაავადების დროს.



გოგრის თესლი მდიდარია ცხიმებით, რომელთა შემადგენლობაში უმეტესწილად უჯერი ცხიმმჟავები და ცილები შედის. თესლის მოლურჯო-მომწვანო კანქვეშა გარსს მუცლის ჭიის საწინააღმდეგო თვისება გააჩნია; ისევე როგორც რბილობი, ისიც მდიდარია ბეტა-კაროტინით, C და B ჯგუფის ვიტამინებით.

ხალხურ მედიცინაში დიდი ხანია ცნობილია გოგრის სამკურნალო მოქმედების ფართო სპექტრი. შარდსასქესო სფეროს დაავადებების, თირკმლების, ალერგიული რეაქციების, კანის დაავადებების დროს მას საოცარი ეფექტი აქვს. ტრადიციულად გოგრის თესლები და რბილობი გამოიყენება შემდეგი პრობლემების დროს.

#### შარდის ბუშტის ანთება

1 ჭიქა გამხმარ გოგრის თესლს გული ამოაცალეთ. დაასხით 1,5 ჭიქა ადუღებული წყალი. მოურიეთ, გაწურეთ. ეს დოზა ერთი დღისთვისაა გათვლილი. გოგრის თესლი ასევე აძლიერებს შარდის ბუშტის კუნთებს. გოგრის რბილობი აუმჯობესებს შარდდენას. ამისთვის სპეციალურად წამლის მომზადება საჭირო არ არის. მოხარშული გოგრის რბილი ფაფა დღეში ორჯერ მიირთვით.

#### რკინის ნაკლებობით გამოწვეული ანემია

ანემიით დაავადებულთათვის რეკომენდებულია დღეში 4-5-ჯერ 150 გრამამდე მოხარშული გოგრის მიღება. სპეციალისტების რჩევით, ამის შემდეგ დამატებით რკინის შემცველი პრეპარატები აუცილებელი არ არის.

#### კარიესი

გოგრის რბილობის სისტემატური მიღება ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა კარიესის პროფილაქტიკისათვის. საქმე ისაა, რომ გოგრა დიდი რაოდენობით შეიცავს ფტორს. მისი დღიური დოზა ადამიანისათვის ერთი მგ-ია. ამ რაოდენობას 500-600 გრამი გოგრა ფარავს.

სისხლის მაღალი წნევა, ათეროსკლეროზი, ვისაც გულ-სისხლძარღვთა დაავადებები აწუხებს

ჰიპერტონიკებმა დღეში 1,5-დან ერთ ჭიქამდე მწიფე გოგრის წვენი უნდა მიიღონ. სასმელში შემავალ კალიუმს ორგანიზმიდან გამოჰყავს ცხიმები და ნალექები, ახდენს თირკმლების განტვირთვას, რაც, თავის მხრივ, სისხლის წნევას დაბლა სწევს.

#### საჭმლის მომნელებელი ტრაქტის დაავადება

გოგრის რბილი ნაწილი დიდი რაოდენობით შეიცავს პექტინს, ამიტომ ის მსხვილი ნაწლავის ანთების დროს გამოიყენება. უმი ხელს უწყობს ნაღვლის გამოყოფას. კარგია ყაბზობის დროს.

#### კანის დაავადებები

გოგრის რბილობს გააჩნია მჟავე ტუტიანი მაჩვენებელი – 5-5,5, რაც ჩვენი კანის ანალოგიური მაჩვენებლის მნიშვნელობას შეესატყვისება. კოსმეტოლოგების რჩევით, ფერისმჭამელებისა და ჩირქოვანი გამონაყარის შემთხვევაში გოგრის რბილობის წვენის კომპრესები და ნილბები გაიკეთეთ. ეგზემისა და დამწვრობის დროს დაზიანებულ ადგილზე გოგრის ის რბილი ნაწილი დაიდეთ, რომელშიც თესლებია მოთავსებული.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

### ქრისტესისხლა კიბოს განვითარებას აფერხებს



ხალხურ მედიცინაში ქრისტესისხლას უძველესი დროიდან იყენებენ. ცდებით დადგინდა, რომ ქრისტესისხლას პრეპარატებს აქვს ფუნქციის სტატიკური და ბაქტერიოსტატიკური მოქმედების თვისება ტუბერკულოზის ჩხირის მიმართ.

მასში არსებული ნივთიერება – ჰელიდონინი, მორფინის მსგავსად მოქმედებს, ამიტომ მისგან დამზადებული პრეპარატების მიღება ექიმის რეკომენდაციის გარეშე და თვითნებურად არ არის რეკომენდებული, რადგან გადაჭარბებული დოზით მისი მიღება ცენტრალური ნერვული სისტემის დამბლასაც იწვევს.

კლინიკურმა გამოკვლევებმა ისიც დაადასტურა, რომ ქრისტესისხლა აფერხებს ავთვისებიანი სიმსივნეების ზრდას, ამიტომ რეკომენდებულია კიბოს ოპერაციის შემდგომ გამოსაყენებლად, მეტასტაზების განვითარების შესაფერხებლად.

კვლევის დროს, ქრისტესისხლას პრეპარატებმა კარგი შედეგი გამოიღო, ასევე, სიმსივნისწინა მდგომარეობის ანუ პოლიპოზების შემთხვევაში, განსაკუთრებით, გარეგნული სიმსივნეების მკურნალობის დროს.

### ხახვის ნაყენი პოტენციას ამაღლებს



პოტენციასთან დაკავშირებული პრობლემა ბევრ მამაკაცს აწუხებს. თუმცა, ამაზე ხმამაღლა საუბარს ერიდებიან და საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვას ამჯობინებენ.

თუ ყოველივე ეს სერიოზული ფიზიოლოგიური მიზეზებით არ არის გამოწვეული, იმედი არ უნდა დაკარგოთ. ყოველ დილით გადაყლაპეთ ერთი კვერცხის გული. ასევე, კარგია კვერცხისა და ხახვის სალათის რეგულარული მიღება.

პოტენციის დაქვეითების დროს უძველესი დროიდან არის ცნობილი ხახვის ნაყენი. კერძოდ, ორ ჭიქა წვრილად დაჭრილ ხახვს დაასხით ნახევარი ლიტრი არაყი, გააჩერეთ დაახლოებით, 5-6 დღე ბნელ ადგილას, ოთახის ტემპერატურაზე, თავდახურულ ჭურჭელში. შემდეგ კარგად გაწურეთ და დალიეთ მეოთხედ ჭიქა წყალში გახსნილი თითო ჩაის კოვზი ნაყენი, დღეში ორჯერ, ჭამამდე. დააკვირდით და დარწმუნდებით, რომ უმოკლეს დროში ძალა და ენერგია გაგიორმაგდებათ

# რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები შესაძლოა გამკაცრდეს



კიევში ამერიკელ კონგრესმენთა დელეგაცია ჩავიდა. სენატორმა დემოკრატმა კრის კუნცმა განაცხადა, რომ აშშ-ის მხარდაჭერა უკრაინისადმი არ შესუსტდება.

– დღეს ამერიკაში წინასაარჩევნო კამპანიაა. მიუხედავად ამისა, ჩვენ უკრაინას მხარს დავუჭერთ, – თქვა კუნსმა.

ამერიკელმა სტუმარმა ხაზი გაუსვა, რომ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები არ გაუქმდება. თუკი კონფლიქტის ესკალაცია მოხდა, სანქციები გამკაცრდება.

– ჩემი რჩევაა, ტრამპის რიტორიკას ყურადღებას ნუ მიაქცევთ! აშშ-ში ყველაფერს არა პრეზიდენტი, არამედ სახელმწიფო ინსტიტუტები წყვეტენ. ტრამპის გამარჯვების შემთხვევაშიც კი, რისი ალბათობაც მცირეა, აშშ უკრაინას მხარს დაუჭერს, – თქვა კუნსმა.

# რუსეთმა დონბასში სარაკეტო დივიზიონი გადაისროლა



რუსეთმა დონბასში სარაკეტო დივიზიონი გადაისროლა. მიუხედავად სეპარატისტებისა და რუსების ყველა მცდელობისა, მათი წინ წაწევა ჯერჯერობით კვლავაც ვერ მოხერხდა, თუმცა სარაკეტო დივიზიონის გადასროლით დონბასში მდგომარეობა მკვეთრად დაიძაბა.

უკრაინის უშიშროების საბჭოს მდივან ტურჩინოვის აზრით, დონბასში მოვლენების ორი სცენარით განვითარებაა შესაძლებელი: 1. ფართომასშტაბიანი ომი; 2. ლოკალური ხასიათის შეტაკებები.

– პირველი ვარიანტი ნაკლებად მოსალოდნელია, რადგან ის თავად რუსეთისთვისაა საშიში, – წერს ტურჩინოვი.

უშიშროების საბჭოს მდივანი მეორე ვარიანტს გაცილებით შესაძლებლად მიიჩნევს. გამორიცხული არ არის ფრონტის რომელიმე უბანზე შეტევაც. უწინარეს ყოვლისა, ესაა დონეცკის გარეუბანი (ავდეევკა, პესკი) და მარიუპოლი.

– თუმცა ამ შემთხვევაშიც რუსეთიდან დამატებითი ძალების გადმოსროლის გარეშე მტერი შედეგს ვერ მიაღწევს, – აცხადებს ტურჩინოვი.



# მიხეილ ბარიშნიკოვი მხარს ჰილარი კლინტონს უჭერს

ცნობილი მსახიობი და მოცეკვავე მიხეილ ბარიშნიკოვი მხარს ჰილარი კლინტონს უჭერს. ამაზე თავად ბარიშნიკოვმა სპეციალურად გადაღებულ ვიდეოკლიპში განაცხადა.

– მისის კლინტონი აშშ-ის ისტორიაში საუკეთესო პრეზიდენტი იქნება. ეს კი თავმდებია იმისა, რომ დაძაბული საერთაშორისო ვითარება განიმუხტება, ტერორიზმის პრობლემაც გადაიჭრება, – თქვა ბარიშნიკოვმა.

# ოლეგ გაზმანოვი ლიტვაში არ შეუშვეს



ცნობილი რუსი მომღერალი ლიტვაში არ შეუშვეს. მიზეზი გაზმანოვის პროფაშისტური შეხედულებები გახდა.

– თუკი ისეთი მაფიოზური სახელმწიფო, როგორიცაა უკრაინა, კვლავაც იარსებებს, ევროპაში მუდმივი ომი და შფოთი იქნება. თუკი ყველა ლილიპუტს სახელმწიფოებრიობა ექნება, მსოფლიოში წესრიგი არასოდეს დამყარდება. დღევანდელი ქაოსის მიზეზი ისაა, რომ საქართველომ, ლიტვამ, ლატვიამ, ესტონეთმა და სხვა ქონდრისკაცებმა სახელმწიფოებრიობანის თამაში მოისურვეს, – აცხადებს გაზმანოვი.

ლიტვის მთავრობამაც ფაშისტი თავის ტერიტორიაზე არ შეუშვა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# სანდიეგოელებმა ცაში ცეცხლოვანი ბურთები შენიშნეს

გაურკვეველი წარმომავლობის ცეცხლოვანი ბურთები შენიშნეს ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ სან-დიეგოს თავზე. ამ ინფორმაციას ადგილობრივი ტელეარხი თვითმხილველებზე დაყრდნობით ავრცელებს.

ციურ მოვლენას ადგილობრივი დროით 21:35 საათიდან 21:37 საათამდე ქალაქის აეროპორტისა და სადგურის რაიონში ადევნებდნენ თვალს. ერთ-ერთმა თვითმხილველმა ის აღწერა, როგორც „უცნაური თვითმფრინავი ცეცხლოვანი ბურთულებით ფიუზელაჟის ქვედა ნაწილში“.

მეორე თვითმხილველის თქმით, ცეცხლოვანი ბურთულები დასავლეთისკენ მიემართებოდა. მისი განცხადებით, ჯერ სინათლის ლაქა წარმოიშვა, რომელიც თანდათან იწელებოდა ერთ ხაზად, სანამ გაქრებოდა. ამასთან, ეს მოვლენა რამდენჯერმე გამეორდა.



ამერიკის კოსმოსური სააგენტოს (ნასა) მონაცემებით, სან-დიეგოს მცხოვრებლები შესაძლოა მეტეორული დინების მხილველები გახდნენ, რომელსაც დედამიწა ყოველ ზაფხულს გაივლის, როდესაც ის კომეტა სვიფტ-ტატლას კუდის ნაწილში აღმოჩნდება. ისინი დედამიწის ყველა წერტილიდან შეინიშნება. სულ ვარსკვლავთცვენა 20 ივლისიდან 20 აგვისტოს ჩათვლით გრძელდება. ცალკეულ ღამეებში ერთი საათის განმავლობაში 200-მდე მეტეორის ჩამოვარდნის დანახვა იყო შესაძლებელი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# თურქეთმა შესაძლოა გერმანიას სასამართლოში უჩივლოს



თურქეთის დაზვერვის ხელში აღმოჩნდა გერმანიის შსს-ს საიდუმლო დოკუმენტი, რომელშიც ნათქვამია, რომ თურქეთი ტერორისტების ერთ-ერთ პლაცდარმს წარმოადგენს.

– ესაა გაუგონარი და თავხედური ცილისწამება, – ასეთია ამ წერილზე პრეზიდენტ ერდოღანის კომენტარი.

თურქეთის ლიდერმა არ გამორიცხა, რომ გერმანიას საერთაშორისო სასამართლოში უჩივლოს.

თავად თურქეთში კი ტერაქტები არ წყდება. ვანის პროვინციაში ტროტილით დატვირთული მანქანა აფეთქდა.

3 ადამიანი დაიღუპა, 40 დაშავდა.

# ცვლილებები ტრამპის შტაბში



დონალდ ტრამპის საარჩევნო შტაბში ცვლილებებია. მისი ხელმძღვანელი მანაფორტი გადადგა. მიზეზი კიევში აღმოჩენილი საბუთებია, რომლებიც მიუთითებდა მანაფორტის კავშირს პრორუსული ორიენტაციის „რეგიონების პარტიასთან“ და რუს ოლიგარქებთან საეჭვო ბიზნესგარიგებებში მონაწილეობაზე.

ტრამპის საარჩევნო შტაბს მანაფორტის ნაცვლად სტივენ ბენონი უხელმძღვანელებს.

# ლატვიაში რუსული სერიალის გადაღება აკრძალეს

ლატვიაში რუსულ სერიალ „პარადი ალეს“ გადაღება აკრძალეს. ფილმში მოქმედება 1941 წელს ხდება. ლატვიაში რუსული ცირკი ჩამოდის. ანაზდად გერმანია-სსრკ-ის ომი იწყება. ცირკი უკან გამგზავრებას ვერ ასწრებს. ქალაქს, სადაც ცირკის მსახიობები გაჩერდნენ, გერმანელები იკავებენ. შემდეგ ნაჩვენებია, თუ როგორ გასცა ლატვიელმა ქალმა რუსები, როგორ დააპატიმრა ცირკის მსახიობები ლატვიურმა პოლიციამ, შემდეგ გამოავლინა მათში ებრაელები და მხეცურად გაუსწორდა.



ლატვიის უშიშროების რეკომენდაციით, რუსული სერიალის ლატვიის ტერიტორიაზე გადაღება შეწყდა.

# მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ვეფხვი მოკვდა



ვეფხვი, სახელად მაჩლი, რომელიც უამრავი დოკუმენტური ფილმის გმირი გახდა, ინდოეთში 19 წლის ასაკში მოკვდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ინდური გამოცემა ავრცელებს.

სიკვდილამდე ხუთი დღით ადრე მაჩლიმ საკვების მიღება შეწყვიტა. ვეტერინარებმა მასზე თვალყურის დევნა დააწესეს და მის გამოკვებას ცდილობდნენ, მაგრამ ცხოველი საკვებს პირს არ აკარებდა.

ვეფხვი ტყეში პარკ რენტამბორის მახლობლად ბინადრობდა. პირველად ის 1998 წელს შენიშნეს. თავისი ცხოვრების განმავლობაში ის უამრავი დოკუმენტური ფილმის გმირად იქცა, რომელთა შორისაც ყველაზე ცნობილია ფილმი სახელწოდებით „მაჩლი – ვეფხვების დედოფალი“ (დიდი ბრიტანეთი, 2012 წელი).

ასევე, ინდური გამოცემის მტკიცებით, ის, სავარაუდოდ, მსოფლიოში ყველაზე ფოტოგრაფირებადი ვეფხვი იყო და თავისი ბიოლოგიური სახეობის სიმბოლოს წარმოადგენდა. მაჩლის ყოველწლიური ღვაწლი პარკის ეკონომიკაში 10 მილიონ დოლარად ფასდებოდა.

გარდა ამისა, მაჩლი გახდა ვეფხვების რანტამბორას დინასტიის დამაარსებელი: ცხოველთა ამ სახეობის პოპულაციის დაახლოებით 60 პროცენტი მისი შთამომავლები არიან.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## განცხადებები

● გიწვევთ ოფისში სამუშაოდ, აუცილებელია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 555-288-098.

**მკურნალობა**

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

## მკურნალობა მამაკაცებისთვის!

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ზაზა ნადირაძე ოლიმპიადაზე მეხუთე ადგილზე გავიდა




რიო დე ჟანეიროს ოლიმპიურ თამაშებზე, ქართული სპორტის ისტორიული წარმატების მომდევნო დღეს, საქმეში მხოლოდ ერთი ქართველი სპორტსმენი ჩაება. ნიჩბოსანი ზაზა ნადირაძე, რომელიც კანოეთი 200 მეტრ დისტანციაზე სპრინტში გამოდიოდა და რომლისგანაც მაღალი შედეგისთვის ბრძოლას თითქმის არავინ ელოდა, მაგრამ გამოჩნდა, რომ ყველა ცდებოდა.

22 წლის ქართველი სპორტსმენი საქმეში საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაება, სადაც ოლიმპიადის მონაწილე 25 სპორტსმენი 4 ჯგუფში გადანაწილდა. ნახევარფინალის საგზურები ოთხივე ჯგუფის პირველ ხუთ ადგილზე გასულმა სპორტსმენებმა და საუკეთესო შედეგის მქონე ერთმა მეექვსე ნომერმა მოიპოვეს.

ნადირაძემ სტარტი დააგვიანა, რის გამოც პირველ ჯგუფში დისტანცია 41.423 წამში დაფარა და აღნიშნული შედეგით მე-4 ადგილზე გავიდა. შესაბამისად, საკვალიფიკაციო ეტაპიც დაძლია, თუმცა ეს შედეგი ოპტიმიზმის საფუძველს მაინც არ იძლეოდა.

ფინალის საგზურის მოსაპოვებლად 7-კაციანი ჯგუფიდან 2 საუკეთესოში მოხვედრა იყო აუცილებელი. ამასთან, ნახევარფინალიდან სამი ჯგუფის მესამე ადგილზე გასულ სპორტსმენთაგან 2 საუკეთესოც გადიოდა.

ზაზა ნადირაძე ურთულეს ჯგუფში მოხვდა, სადაც ოლიმპიური თამაშების უმთავრეს ფავორიტებს დაუპირისპირდა და, ყველასგან მოულოდნელად, უკან მოიტოვა.

ნადირაძე ფინალში ჯგუფის პირველი ადგილით გავიდა – 200-მეტრიანი დისტანცია 40.146 წამში დაფარა. ქართველმა ნიჩბოსანმა უკან მოიტოვა ლონდონის ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს 2-გზის ჩემპიონი, უკრაინელი იური ჩებანი და მსოფლიოს 4-გზისა და ევროპის 3-გზის ჩემპიონი, აზერბაიჯანის ნაკრების წევრი ვალენტინ დემიანენკო.

სამივე ნახევარფინალის ჯამში ზაზა ნადირაძემ მე-4 შედეგი აჩვენა.

ნადირაძის მეტოქეები ფინალში უკრაინელი იური ჩებანი, აზერბაიჯანელი ვალენტინ დემიანენკო, რუსი ანდრე კრაიტორი, ფრანგი ტომას სიმარტი, ჩეხი მარტინ ფუკსა, ჩინელი ქიანგ ლი, ესპანელი ლოპეს ბენავიდესი და ბრაზილიელი დოს სანტოს კუეიროსი იყვნენ.

სამწუხაროდ, 22 წლის ნიჩბოსანი ზაზა ნადირაძე უმედლოდ დარჩა – ქართველმა სპორტსმენმა ფინალურ გაცურვაში მე-5 ადგილი დაიკავა. თავიდან სტარტი არ გამოუვიდა, შემდეგ კი მოუმატა და სამეულში იყო, მაგრამ ბოლო მეტრებში ტემპს ოდნავ ჩამორჩა, რაც საკმარისი არ აღმოჩნდა მედლისთვის.

შედეგის მიუხედავად, ზაზას გამოსვლას რიოში უკვე თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ წარმატებული.

# კახი კახიაშვილი ფედერაციის პრეზიდენტობიდან გადადგა



მოულოდნელ ინფორმაციას ავრცელებს საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის პრესსამსახური – ფედერაციის პრეზიდენტი კახი კახიაშვილი თანამდებობიდან გადადგა. ეს მაშინ, როდესაც ქართველმა ძალოსნებმა ოლიმპიადა ტრიუმფით დაასრულეს.

**კახი კახიაშვილი:**

– ძალოსნობისთვის წარმატებული ოლიმპიადის მიუხედავად, მე გადავდექი ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის თანამდებობიდან. როგორც არ უნდა დასრულდეს შემდეგი არჩევნები, ყოველთვის ქართული ძალოსნობის გვერდში ვიქნები. სავარაუდოდ, მეც ვიყრი კენჭს და თუ ძალოსნობის საზოგადოება, ძალოსნობის ოჯახის წევრები მხარს დამიჭერენ, კიდევ უფრო მეტი მონდომებით, ენთუზიაზმით გავაგრძელებ მუშაობას.

კახიაშვილის განცხადებით, 2016 წლის 19 სექტემბერს გაიმართება ძალოსნობის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნები.

# მესი კმაყოფილია, ენრიკე – უკმაყოფილო

ბარსელონამ ესპანეთის სუპერთასის განმეორებით მატჩშიც დაამარცხა სევილია – 3:0. დუბლი არდა თურანმა შეასრულა, ხოლო მე-3 გოლი ლეო მესის ანგარიშზეა. პირველი მატჩიც ლატალონიელთა გამარჯვებით დასრულდა – ბარსამ სტუმრად 2:0 მოიგო.



აღსანიშნავია, რომ მესიმ, კატალონიური გუნდის კაპიტნის რანგში, ტიტული პირველად მოიგო.

საქმე ის არის, რომ ანდრეს ინიესტამ ტრავმის გამო ვერ ითამაშა, რის გამოც გუნდს მესი კაპიტნობდა. 29 წლის არგენტინელმა კატალონიურ კლუბში 29-ე ტიტული მოიგო და პირველი, როგორც ბარსელონის კაპიტანმა.

სულ მესის ანგარიშზე 8 ესპანეთის თასი, 7 ესპანეთის სუპერ თასი, 4 ჩემპიონთა ლიგა, 4 ესპანეთის თასი, 3 ევროპის სუპერთასი და 3 მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატია.

მართალია, მესისთვის ეს ტიტული მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ასე არ ფიქრობს კატალონიელთა მთავარი მწვრთნელი ლუის ენრიკე და თვლის რომ, ასეთ სუპერთასს აზრი არ აქვს.

ბარსას თავკაცი იმით არის აღშფოთებული, რომ გასულ სეზონში, ბარსელონამ ესპანეთის ჩემპიონატიც მოიგო და თასიც. 1990-იან წლებამდე მოქმედი წესების თანახმად, ბარსელონა, ამ შემთხვევაში, სუპერთასს ავტომატურად მოიგებდა. თუმცა, 2 ათეულ წელზე მეტია, ქვეყნის სუპერთასი იმის მიუხედავად თამაშდება, მოიგო თუ არა ერთმა გუნდმა ორივე ტიტული.

**ლუის ენრიკე:**

– როდესაც ჩემპიონატს და თასს ერთი გამარჯვებული ჰყავს, ქვეყნის სუპერთასის ჩატარებას აზრი აღარ აქვს. ნათელია, რომ ეს ბიზნესია, მაგრამ ჩემთვის ამას აზრი არ აქვს.

ენრიკემ ისიც დასძინა, რომ სუპერთასის განმეორებითი მატჩის გამო მის გუნდს ლა ლიგის პირველი თამაშისთვის მოსამზადებლად ცოტა დრო აქვს.

# თომას მიულერსა და ბაიერნს ყველაფრის მოგება სურთ



გერმანიის ჩემპიონისგან ყველა თასის მოგებას რომ ითხოვენ, ეს გასაკვირიც არ არის. ამიტომაც ბავარიელთა ახალი მწვრთნელი კარლო ანჩელოტი წნეხის ქვეშ არის, მაგრამ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ტომას მიულერი უარყოფს იმ მოსაზრებას, რომ მარცხის შემთხვევაში იტალიელი სპეციალისტის პირველი სეზონი ბაიერნში წარუმატებლად ჩაითვლება.

მიულერი დაჟინებით ამტკიცებს, რომ ჩემპიონთა ლიგის მოგება ანჩელოტის წარმატების განმსაზღვრელი არ გახდება.

შეგახსენებთ, რომ ბაიერნი პეპ გვარდიოლას თაოსნობით ზედიზედ 3 სეზონის განმავლობაში ბუნდესლიგის გამარჯვებული გახდა, მაგრამ კატალონიელს მუდმივად აკრიტიკებდნენ, რომ საკონტინენტო ტურნირებში წარმატება ვერ მოუტანა გუნდს.

მიულერის განცხადებით, მაშინ როდესაც მას და მის თანაგუნდელებს ყველაფრის მოგება სურთ, რაც კი შესაძლებელია.

**თომას მიულერი:**

– მიზნები არ იცვლება და ერთი და იგივეა ყოველ წელს – ჩვენ ყველაფრის მოგება გვსურს, რისი მოგებაც კი შესაძლებელია. თუმცა, ეს არ უნდა იყოს გაგებული იმგვარად, რომ ყველაფერი თავისით მოვა. ეს მცირე, მაგრამ მკაფიო განსხვავებაა. მიზნები დიდია და რეალისტური, მაგრამ თქვენ უკეთესად იცით, რომ ყველაფერს ვერ გათვლი და მაშინაც კი, თუ კარგად ითამაშებ, შესაძლებელია წააგო და პირიქით.

მიულერმა ასევე უარყო ის მოსაზრება რომ ანჩელოტის მიღწევები ჩემპიონთა ლიგაზე გაცილებით დიდია, ვიდრე გვარდიოლასი და, აქედან გამომდინარე, ეს გადამწყვეტ როლს შეასრულებს ბაიერნის წარმატებაში.

– გვარდიოლასაც არ ჰქონდა უარესი შედეგები. გეთანხმებით, მან ერთით ნაკლები ტიტული მოიგო. წარმატებისთვის საჭიროა კარგი თამაში და ცოტაოდენი იღბალი. რა თქმა უნდა, შეიძლება სხვა მიდგომა ჰქონდეს ახალ მწვრთნელს, რომელიც გადამწყვეტ მატჩებში დაგვეხმარება.

რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგის ტიტულს, ჩვენ ბოლო წლების განმავლობაში ვერ შევძელით მისი მოგება და თავისთავად ეს დიდ მოტივაციას გვაძლევს.

# ცვლილებები ზუგდიდში – მეგრულ კლუბს უკრაინელები გაწვრთნიან

საფეხბურთო კლუბ ზუგდიდში დიდი ცვლილებები მოხდა. როგორც კლუბის პრესსამსახური იტყობინება, ზუგდიდის აქციათა 51 პროცენტის მფლობელი აუქციონის წესით უკრაინელი სპონსორები გახდნენ, ხოლო 49 პროცენტს ისევ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია განაგებს, თუმცა ვიცით მხოლოდ ის, რომ უკრაინელები არიან, მაგრამ უცნობია, კერძო პირის არის თუ რომელიმე ჯგუფის.



ზუგდიდის მთავარი მწვრთნელის მოვალეობას უკრაინელი ვიქტორ დოგადაილო შეასრულებს, რომელსაც სხვადასხვა წლებში სანაკრებო და საკლუბო დონეზე უმუშავია.

დოგადაილოს ასისტენტი კი საკმაოდ ნაცნობია ფეხბურთის სტაჟიანი გულშემატკივრებისთვის – ვლადიმირ ლიუტი, რომელსაც მდიდარი საფეხბურთო კარიერა აქვს.

დოგოდაილო-ლიუტის სამწვრთნელო შტაბში იმუშავებენ, ლევან მიქაძე, მამუკა ჭაჭუა და მუხრან ქარჩავა (მეკარეების მწვრთნელი).

ოთარ გაბელიას კლუბის ხელმძღვანელობამ ზუგდიდის სპორტული დირექტორის თანამდებობა შესთავაზა, თუმცა თავად გაბელიამ უარი განაცხადა.

## შედეგები

**17-18 აგვისტო**

### ოლიმპიადა

**ფეხბურთი**

**კაცები**

| | |
|---|---|
| ბრაზილია-ჰონდურასი | 6:0 |
| ნიგერია-გერმანია | 0:2 |

**კალათბურთი**

**კაცები**

| | |
|---|---|
| ავსტრალია-ლიტვა | 90:64 |
| ესპანეთი-საფრანგეთი | 92:67 |
| აშშ-არგენტინა | 105:78 |
| ხორვატია-სერბეთი | 83:86 |

**წყალბურთი**

**ქალები**

| | |
|---|---|
| ავსტრალია-ბრაზილია | 11:4 |
| ესპანეთი-ჩინეთი | 11:6 |
| რუსეთი-იტალია | 9:12 |
| უნგრეთი-აშშ | 10:14 |

**ფრენბურთი**

**კაცები**

| | |
|---|---|
| კანადა-რუსეთი | 0:3 |
| აშშ-პოლონეთი | 3:0 |
| იტალია-ირანი | 3:0 |
| ბრაზილია-არგენტინა | 3:1 |

**ხელბურთი**

**კაცები**

| | |
|---|---|
| ბრაზილია-საფრანგეთი | 27:34 |
| გერმანია-კატარი | 34:22 |
| დანია-სლოვენია | 37:30 |
| ხორვატია-პოლონეთი | 27:30 |

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ვილიარეალი-მონაკო | 1:2 |
| დანდალკი-ლეგია | 0:2 |
| ლუდოგორეცი-პლზენი | 2:0 |
| პორტუ-რომა | 1:1 |
| სელტიკი-ჰაპოელი | 5:2 |

**უეფას ევროპის ლიგა**

| | |
|---|---|
| ბეითარი-სტ.ეტიენი | 1:2 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

| | |
|---|---|
| ბარნსლი-ქპრ | 3:2 |
| კარდიფი-ბლექბერნი | 2:1 |
| ნიუკასლი-რედინგი | 4:1 |

# პოლ პოგბა: „მოედანზე გასასვლელად მზად ვარ“




ინგლისის პრემიერლიგა დაიწყო, მაგრამ ჯერ არ უთამაშია მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებულ ფეხბურთელ პოლ პოგბას, რომლის დებიუტსაც ახალ სეზონში ხვალ ელოდებიან.

მანჩესტერი საუთჰემპტონს დაუხვდება და, თუ ფეხბურთელს დავუჯერებთ, მოედანზე გამოსასვლელად მზად არის.

**პოლ პოგბა:**

– ვითამაშებ პარასკევს? თქვენ ეს მწვრთნელს უნდა ჰკითხოთ, მაგრამ თავს შესანიშნავად ვგრძნობ და 10 დღეა, ვვარჯიშობ. მე წესრიგში ვარ. გრაფიკს უკვე შევეჩვიე. 2 წლის წინ, როდესაც იუვეში ვიყავი მსოფლიოს ჩემპიონატზე ვიასპარეზე, 3 წლის წინ კი ასევე მონაწილეობა მივიღე 20 წლამდელთა მუნდიალზეც. ასე რომ, ყველაფერი ნორმალურად არის. საქმე მხოლოდ ფიზიკურ მდგომარეობას ეხება, მე კი არდადეგების დროსაც ვვარჯიშობდი.

არ ვფიქრობ იმაზე, თუ რამდენი გადაიხადეს ჩემს ტრანსფერში, უბრალოდ, ბედნიერი ვარ, რომ ფეხბურთის თამაში შემიძლია. ჩემი ამბიციები მდგომარეობს იმაში, რომ მინდა ვიყო მსოფლიოში უპირველესი. ასე რომ, ჩემი მიზანია ჩემპიონატში გამარჯვება. ჩვენ ჩემპიონთა ლიგაზე გვსურს დაბრუნება, რადგან იუნაიტედის ადგილი სწორედ იქაა.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# საფეხბურთო ექსპერტები ზიდანს ფაბრეგასის შეძენას ურჩევენ

ესპანელი საფეხბურთო ექსპერტები მადრიდის რეალის მთავარ მწვრთნელ ზინედინ ზიდანს სესკ ფაბრეგასის შეძენისკენ მოუწოდებენ.

ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობს, რომ კატალონიელი ფეხბურთელი საკმაოდ გამოადგება კოლექტივს. პირველი მიზეზი ის არის, რომ ესპანელს ძალიან დიდი გამოცდილება უმაგრებს ზურგს, რომელსაც დედაქალაქური კლუბის წარმატებას მოახმარს.

მეორე მიზეზი მისი უნივერსალობაა. სესკს თამაში შეუძლია როგორც ფორვარდების უკან, ასევე ნახევარდაცვის ცენტრალურ რგოლში და საყრდენად.

ასევე აღსანიშნავია, რომ ფაბრეგასს მოედნის შესანიშნავი ხედვა აქვს და გენიალურ გადაცემებს ასრულებს.

და ბოლოს... 29 წელი არ არის ის ასაკი, როდესაც ფეხბურთელის ჩამოწერა ხდება. ექსპერტები თავად ზიზუს იხსენებენ, რომელიც 29 წლის ასაკში კარიერის პიკში იყო.

იგივე აზრზეა რეალის აღზრდილი და ლეგენდა იკერ კასილიასი, რომელმაც ფაბრეგასს რეალში გადასვლისკენ მოუწოდა, ხოლო დედაქალაქელებს კი ფეხბურთელის დამატება ურჩია.



**იკერ კასილიასი:**

— სესკს ძალიან კარგად ვიცნობ, ვინაიდან წლების განმავლობაში გამოვდიოდით სანაკრებო დონეზე. მერწმუნეთ, ფაბრეგასს ნამდვილად შეუძლია რეალის დახმარება, ის ხომ რამდენიმე პოზიციაზე თამაშობს. ხსენებული ასპექტი დღევანდელ ფეხბურთში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. გამიხარდება, თუ ფაბრეს ბლანკოსის რიგებში ვიხილავ. ის ძალიან კარგი ადამიანი და ფეხბურთელია.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ჩინელი ქალი 17 თვის ფეხმძიმეა

ახლახან მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჩინეთის პროვინცია ხუნანში ცხოვრობს ქალი, რომლის ფეხმძიმობა უკვე 17 თვეა გრძელდება. ამგვარად ქალი ფეხმძიმობის ხანგრძლივობის რეკორდსმენი გახდა.

ვან შის თქმით, ის 2015 წლის თებერვალში დაფეხმძიმდა. მას, წესით, 2015 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში უნდა ემშობიარა, თუმცა დღემდე მისი მდგომარეობა არ შეცვლილა.

— ექიმები ამბობენ, რომ არსებობენ ქალები, რომლებიც ფეხმძიმობის მე-13 თვეს მშობიარობენ, მაგრამ ეს შემთხვევა გამონაკლისია. მათ არ შეუძლიათ ახსნან, თუ ასე რატომ ხდება, — განაცხადა ფეხმძიმე ქალის მეუღლემ.

ექიმების შეფასებით, ვან შის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება, ხოლო მის მუცელში მყოფი ნაყოფის წონა 3,8 კილოგრამს აღწევს.

ექიმებმა შის ულტრაბგერითი გამოკვლევის გავლა შესთავაზეს, მაგრამ მან უარი განაცხადა. ერთ-ერთმა ექიმმა, რომელმაც ქალს გამოკვლევა



ჩაუტარა, განაცხადა, რომ, მისი აზრით, ქალი 38 კვირის ფეხმძიმეა. ექიმებს, თავად ქალის სიტყვების გარდა, მისი ფეხმძიმობის ხანგრძლივობის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ გააჩნიათ.



# ადელი თაყვანისმცემლებს უმაკიაჟოდ ეჩვენა

ბრიტანელი მომღერალი ადელი უმაკიაჟოდ წარდგა თავისი თაყვანისმცემლების წინაშე და მათ საკუთარი ავადმყოფობის გამო კონცერტის გაუქმების გამო ბოდიში მოუხადა. მომღერალმა საკუთარი მიმართვის ვიდეოჩანაწერი სოციალურ ქსელ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა. ერთ დღე-ღამეში ვიდეორგოლმა 3,6 მილიონი ნახვა მოაგროვა.

ჩანაწერში ადელი ფანებს უბოდიშებს და აცნობებს, რომ უკვე რამდენიმე დღეა ავადაა, რის გამოც ვერ ახერხებს, მეორედ წარდგეს მაყურებლის წინაშე ამერიკის არიზონის შტატის ქალაქ ფინიკსში.

# უდიდეს ჩინურ ნიანგს საცოლეებს სთავაზობენ

ჩინეთის პროვინცია ფუცზიანში ბინადარ ქვეყნის უდიდეს ნიანგს ცოლობის 16 კანდიდატს შესთავაზებენ. ამ ინფორმაციას ადგილობრივი საინფორმაციო სააგენტო სინხუა ავრცელებს.

46 წლის სიამის ნიანგის, სახელად ცზიუიეს სიგრძე 6,5 მეტრს შეადგენს. ცხოველის წონა, რომელიც ქალაქ სიამენის ნიანგების პარკის ბინადარია, 1,5 ტონას აღწევს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მტაცებლისთვის პარტნიორობის 100 კანდიდატიდან 16 შეირჩა. ისინი ცზიუიეს მეზობლად დააბინავეს, რათა მან უახლოესი სამი თვის განმავლობაში შეარჩიოს თავისი პარტნიორი.

ნიანგი ჩინეთში 2000 წელს ჩამოიყვანეს ტაილანდიდან. პირველად მას მემკვიდრეები 2011 წელს შეეძინა.



# 71 წლის ბრიტანელი ბალერინა გახდა

ლონდონელი ქალბატონი ქვეყნის ყველაზე ხანდაზმული ბალერინა მას შემდეგ გახდა, როდესაც საცეკვაო სკოლის როიალ ექედემის გამოსაშვები გამოცდები 71 წლის ასაკში ჩააბარა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, როდესაც დორინ პეში პატარა იყო, მის მშობლებს არ შეეძლოთ მისი ცეკვის სწავლების გადასახადი გადაეხადათ. ქალი, რომელიც ინჟინერ-ელექტრიკოსად მუშაობდა, 10 წლის წინ პენსიაზე გავიდა. სწორედ მაშინ გადაწყვიტა მან, აესრულებინა ბავშვობის ოცნება და ბალეტით დაკავებულიყო.

რამდენიმეწლიანი ვარჯიშების შემდეგ პეშმა გამოცდები ჩააბარა საბალეტო სკოლაში, სადაც მას განუცხადეს, რომ ის დიდი ბრიტანეთის ყველაზე ხანდაზმული ბალერინა გახდა. ახლა უკვე დორინი ბოლო ორი არცთუ აუცილებელი ეტაპისთვის ემზადება, კვირაში სამჯერ მეცადინეობს მასწავლებელთან და ყოველდღე დამოუკიდებლად.



# აშშ-ში მოშინაურებული მაიმუნი ჰიპერმარკეტის თანამშრომელს თავს დაესხა

ამერიკის ოჰაიოს შტატში მაიმუნი ჰიპერმარკეტის უოლმერტის თანამშრომელს თავს დაესხა. ინციდენტი, რომლის შემდეგაც ცხოველი ჰიპერმარკეტის ავტოსადგომიდან, სავარაუდოდ, მისმა პატრონმა წაიყვანა, ქალაქ ლანკასტერში მოხდა.

მომხდარის ვიდეოჩანაწერი ფეისბუქში ადგილობრივმა მცხოვრებმა რიშელ სტიუარტმა გამოაქვეყნა. გამოქვეყნებიდან ორ დღეში ვიდეორგოლი 400 ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა.



# ტეხასელი კოვბოი სასადილოში ცხენით შევიდა

ამერიკის შტატ ტეხასში კოვბოი ლაფან კრამპი ცხენზე ამხედრებული შევიდა ტაქო ბელის სასადილოების ქსელის ერთ-ერთ სასადილოში. ამ მოვლენის ამსახველი ვიდეოჩანაწერი მან სოციალურ ქსელ ტვიტერში საკუთარ გვერდზე განათავსა. კოვბოიმ ვიდეორგოლი ასევე ინსტაგრამშიც გააზიარა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კრამპისთვის სასადილოში ცხენით მისვლა ტრადიციად იქცა. ის ამას როდეოში მონაწილეობის შემდეგ აკეთებს.

# კანადელმა 100 კილოგრამი დაიკლო და ბიკინი ჩაიცვა

კანადის პროვინცია ონტარიოს მცხოვრებმა ცხოვრებაში პირველად ჩაიცვა ბიკინი და ეს მას შემდეგ შეძლო, როდესაც წონაში 100 კილოგრამი დაიკლო.

აღსანიშნავია, რომ მელორი ბიუტნერი ბავშვობიდან იტანჯებოდა ზედმეტი წონის პრობლემით. 2014 წელს, როდესაც მისმა წონამ 180 კილოგრამს მიაღწია, მან გადაწყვიტა, კუჭის შუნტირების ოპერაცია გაეკეთებინა, რათა სიმსუქნე დაეძლია. აღნიშნული პროცედურისა და სხეულზე ზედმეტი კანის მოშორების შემდეგ 80 კილოგრამი დაიკლო.



ახლა 29 წლის კანადელმა, რომელიც სკოლაში მასწავლებლად მუშაობს, პირველად მოახერხა საცურაო კოსტიუმის ჩაცმა.

— ბოლოს და ბოლოს, ვგრძნობ, რომ ჩემი შინაგანი მდგომარეობა ჩემს გარეგნობას შეესაბამება, — განაცხადა ბიუტნერმა.

გოგონა რეგულარულად დადის სავარჯიშო დარბაზში და უპირატესობას ჯანსაღ კვებას ანიჭებს, რათა ამჟამინდელი ფორმა არ დაკარგოს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ასტროპროგნოზი
## 19 აგვისტოსთვის



**ვერძი** — არაკეთილისმყოფელი დღეა. ახალი იდეები სასურველ შედეგს არ გამოიღებს. აქტიური ფიზიკური დატვირთვა გავნებთ. **კურო** — დღეს ყველა საქმე ფინანსებს უკავშირდება. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც იშოვოთ. **ტყუპები** — გიმახვილდებათ ინტუიცია. ოჯახური ურთიერთობები უმჯობესდება. ნებისმიერი მოქმედებისას სიფრთხილე გამოიჩინეთ. **კირჩხიბი** — იყავით თამამი და გაბედული. მოსალოდნელია კონფლიქტი ახლობლებთან და კოლეგებთან. **ლომი** — კარგი პერიოდია კოლექტიური საქმიანობისათვის. პარტნიორთან გაწონასწორებული და ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. **ქალწული** — საოჯახო საქმეების მოგვარება ბევრ დროსა და ენერგიას გართმევთ. პირად ცხოვრებაში პრობლემები შეგხვდებათ. **სასწორი** — ნუ გარისკავთ. მშვიდად იმუშავეთ. ეცადეთ, სულიერი წონასწორობა აღიდგინოთ. **ღრიანკალი** — დაეუფლეთ ახალ პროფესიას. მიიღეთ მაქსიმალურად ფართო ინფორმაცია. ეს დღე განსაკუთრებით იღბლიანია შემოქმედი ადამიანებისათვის. **მშვილდოსანი** — ნებისმიერ პრობლემას იოლად მოაგვარებთ, რაშიც თქვენი მჭევრმეტყველების უბადლო ტალანტი დაგეხმარებათ. საღამოს დაისვენეთ მყუდრო გარემოში. **თხის რქა** — კეთილისმყოფელი დღეა ახალი ნაცნობობისათვის, სამოგზაუროდ, ქალაქგარეთ გასასვლელად. საღამოს, შესაძლოა, გეგმები შეგეცვალოთ. **მერწყული** — კომერციული საქმიანობა დღეს წარუმატებელი იქნება. ფინანსებს გაუფრთხილდით. მეგობრების გამოცდილება საკმაოდ წაგადგებათ. **თევზები** — ეიფორიას ნუ მიეცემით. რეალობას თვალი გაუსწორეთ. ნაჩქარევ და სპონტანურ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. დედათა მონასტერი ფარავნის ტბის მახლობლად; 2. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 3. უსქესო, ვეგეტაციური გამრავლების გზით წარმოშობილი შთამომავლობა; 5. ცისკრის, განთიადის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 6. ლიტვის დედაქალაქი; 9. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი სამცხე-ჯავახეთში; 10. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 11. მრავალხმიანობა მუსიკაში; 14. არაბეთის ზღვისპირა საკურორტო ზონა ინდოეთში; 16. ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებელი მეცნიერი, აკადემიკოსი; 18. ბრიტანული ლუდხანა.

**თარაზულად**: 1. ფულის ერთეული შვეიცარიაში; 4. ბათუმის ბოტანიკური ბაღის დამაარსებელი; 7. ტბა იტალია-შვეიცარიის საზღვარზე; 8. წყლის ცხოველთა საერთო სახელწოდება, რომელთაც დინების საწინააღმდეგო მიმართულებით შეუძლიათ გადაადგილება; 12. დასაკეცი ჯიბის დანა; 13. დაზვერვის თანამშრომელი; 15. საფრანგეთის პრეზიდენტი; 17. ელექტრონული წინაღობის საზომი ერთეული ფიზიკაში; 19. ინდური იგავ-არაკების კრებული; 20. საცხოვრებელი მასივი თბილისში; 21. მდარე ხარისხის ვერცხლი მონეტების, ხურდა ფულის დასამზადებლად.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ხილარი; 2. კარე; 3. შერმადინი; 4. დანტე; 5. ფისკალი; 8. ბატონი; 9. ალტიმეტრი; 12. „სუძუკი"; 14. მატისი; 16. ისანი.

**თარაზულად:** 1. „ხვანჭკარა"; 6. მეცენატი; 7. ლომბერი; 9. „არემჯი"; 10. მესა; 11. ლორნეტი; 13. ხომლი; 15. რუბიკი; 17. ვიკონტი; 18. კურაგა; 19. პრესტო; 20. გინიოლი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. დანი; 2. პუარო; 3. „ოპეკი"; 5. „ცერული"; 6. თეოლოგია; 9. დეიტერიუმი; 10. ბალანჩინი; 11. იეროგლიფი; 14. გნუ; 16. სესილი; 18. პინო.

**თარაზულად:** 1. „დნიპრო"; 4. ცუცხვათი; 7. საირმე; 8. „კარფური"; 12. გიენა; 13. ეგზემა; 15. „ნაბუკო"; 17. „აია"; 19. ლეიკოციტები; 20. ლისტი; 21. „ფორბსი".

# კახაბერ ცისკარიძე ძმის გადასარჩენად ფულს აგროვებს



მომღერალი და მუსიკოსი კახაბერ ცისკარიძე ძმის, ვაჟა ცისკარიძის გადასარჩენად ფულს აგროვებს.

ხელოვანმა სპეციალური განცხადება სოციალურ ქსელში გაავრცელა და მიმართა ყველას, დაეხმარონ მისი ძმისთვის გადაუდებელი ოპერაციისთვის საჭირო თანხის შეგროვებაში.

**კახაბერ ცისკარიძე:**

**– ჩემო მეგობრებო, ახლობლებო,** ნათესავებო და უბრალოდ ნაცნობებო, გთხოვთ დახმარებას ჩემი ძმის, ვაჟა ცისკარიძის სასწრაფო ოპერაციისთვის.

დიდი მადლობა თქვენი თანადგომისთვის!!!

თქვენ მიერ გაწეული ფინანსური დახმარება ძალზე მნიშვნელოვანია და სასწრაფოა!!!

ვაჟა ცისკარიძის გადასარჩენად სპეციალური ანგარიშიც გაიხსნა.

# ანიტა რაჭველიშვილი კულტურის სამინისტროს წინააღმდეგ



მეცოსოპრანო ანიტა რაჭველიშვილი კულტურის სამინისტროს უპირისპირდება.

ანიტამ უნდობლობა ღიად გამოუცხადა ოპერის თეატრის ყოფილ სამხატვრო ხელმძღვანელ დავით კინწურაშვილს და განაცხადა, რომ სანამ ის თანამდებობას არ დატოვებდა, თეატრთან არ ითანამშრომლებდა. მართალია, კინწურაშვილი კულტურის მინისტრმა მოხსნა, მაგრამ ამით საოპერო სფეროს პრობლემები არ დასრულებულა:

– დროა, ოპერისა და ბალეტის თეატრს სახელი შეუცვალოთ და პირდაპირ მხოლოდ ბალეტის თეატრი დაარქვათ! სამარცხვინოა, რასაც აკეთებთ! კულტურის სამინისტრო რად გვინდა ნეტავ საერთოდ? მარტო ნათესაობა-ახლობლობით ხდება საკითხების გადაწყვეტა და არაპროფესიონალიზმის პიკია!

# ნინი ონიანი დაქორწინდა

მოდელი და მსახიობი ნინი ონიანი, რომელიც ფართო საზოგადოებამ კომედიურ სერიალ „ქალთა სახეებით" გაიცნო, დაქორწინდა. მოდელმა თავისი ნიშნობის შესახებ ინფორმაცია ცოტა ხნის წინ გაავრცელა და მაშინ საგულდაგულოდ დამალა თავისი რჩეული.



ახლა კი თავისი გაბედნიერება მან ინტერნეტით ყველას შეატყობინა და საყვარელ მამაკაცთან გადაღებული ფოტო გამოაქვეყნა.

ნინის მეუღლე ვაჟიკო მახვილაძეა. მოდელმა დაქორწინების შემდეგ გვარი შეიცვალა. ის ამჟამად ფეისბუქზე არა ნინი ონიანი, არამედ ნინი მახვილაძეა.

– ძველი გვარი წარსულში დავტოვე! – აცხადებს მოდელი.

ახლადდაქორწინებულები საქორწინო მოგზაურობაში იმყოფებიან და გაბედნიერების ფოტოებსაც ავრცელებენ.

# დემნა გვასალია მამაკაც მოდელზე დაინიშნა



„ბალენსიაგას" კრეატიული დირექტორი დემნა გვასალია მამაკაც მოდელზე დაინიშნა.

ქართველ დიზაინერს ევროპაში კარგად იცნობენ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ანტვერპენის სამეფო აკადემიის ხელოვნების ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ის მარჯიელაში მუშაობდა ქალების კოლექციებზე.

მას დასავლურმა გამოცემამ „ვუნდერკინდი ქართველი დიზაინერი" უწოდა, რადგან მის მიერ შექმნილი ბრენდი ვეტმანი დიდი პოპულარობით სარგებლობს არა მარტო მოდის მოყვარულებში, არამედ მსოფლიოს ვარსკვლავებში.

დემნა გვასალია ჟურნალისტებისთვის ერთ-ერთი ყველაზე სასურველი სტუმარია. მისთვის არ არსებობს ტაბუდადებული თემა, ამიტომაც, როცა ჟურნალისტმა ორიენტაციაზე დაუსვა შეკითხვა, არც მისთვის აურიდებია თავი.

დემნასა და მისი რჩეულის ნიშნობა მსოფლიოს მოდის სამყაროსთვის მოულოდნელი სიახლე არ ყოფილა. ინფორმაცია მისმა რჩეულმა სოციალურ ქსელში თავად გაავრცელა.

ქართველი დიზაინერის მეწყვილე მოდელი ლოიკ გომესია. ისინი დიდი ხანია ერთად არიან, თუმცა აქამდე ურთიერთობისთვის ოფიციალური სახე არ მიუციათ.

ლოიკ გომესმა ინსტაგრამზე ფოტო გამოაქვეყნა, რომელზეც მისი და დემნას ხელებია ასახული. წყვილს არათითზე ტიფანის ნიშნობის ბეჭდები უკეთია.

– მე მას ვუთხარი დიახ! – ასეთი წარწერაა ფოტოზე.

დემნასა და ლოიკის ფოტოები მოდელს სოციალურ ქსელში მრავლად აქვს გამოქვეყნებული. წყვილს გაბედნიერებას მეგობრები და ნაცნობები ულოცავენ.

❖ ❖ ❖

საკუთარი არატრადიციული ორიენტაციის შესახებ ქართველმა დიზაინერმა უცხოელ ჟურნალისტებთან გულღიად ისაუბრა:

– ყოველთვის მახსოვს წარსულის გამოცდილება, რომელმაც ტრავმა დამიტოვა. ეს იყო შემთხვევა, როცა სასიყვარულო წერილი მივიღე ბიჭისგან. ამის კონტექსტი უნდა გაიაზრო. საქართველოში ძალიან დიდი დრამაა, იყო გეი. მივედი და ვცემე, საშინელება იყო.

***– და 20 წლის შემდეგ პირველი ჩვენება გეიკლუბში მოაწყვეთ?***

– კი, ამ წლების განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა, მივილე თავი.

***– პირველად როდის მიხვდით, რომ ბიჭები უფრო გიზიდავდათ, ვიდრე გოგოები?***

– 6 წლის ვიყავი.

***– ანუ გეებს თავად სცემდით სკოლაში, იმის ფონზე, რომ თავადაც ბიჭები მოგწონდათ?***

– რა თქმა უნდა, ასე ვაკეთებდი. საქართველო ძალიან ჰომოფობიური ქვეყანა იყო და არის დღემდე. ამიტომ მთელი ბავშვობა მიწევდა ორიენტაციის დამალვა და დამიჯერეთ, ეს ადვილი არ ყოფილა. ღმერთო ჩემო, ახლაც კი მაციებს ამ თემაზე, მე მგონი, თერაპია მჭირდება, რომ დამეხმაროს.

# „არ შეიძლება, ერთი ისეთი კლინიკა, თურქეთში რომ არის, თბილისშიც გვქონდეს?"

– არ შეიძლება, ერთი ისეთი კლინიკა, თურქეთში რომ არის, თბილისშიც გვქონდეს? – ამ კითხვას სვამს მომღერალი ქრისტინე იმედაძე და ქართველი ექიმების ტრენინგებს ითხოვს.

**ქრისტინე იმედაძე:**

– არ შეიძლება, ერთი ისეთი კლინიკა, თურქეთში რომ არის თბილისშიც გვქონდეს?! ამხელა თანხა ჯდება ჯერ მარტო გადაფრენა! მერე მკურნალობა! ამდენი სამწუხარო ამბავი გვესმის... ნუთუ ასეთი რთულია, ჩვენი ექიმების გუნდი წავიდეს ტრენინგზე... აქაც მოვიწვიოთ „ის ვიღაც ჯადოქარი" ექიმები...

ისიც ვიცით, რომ ჩვენი ექიმები მაქსიმუმს აკეთებენ, თუმცა ბოლოს მაინც თურქეთი ან კიდევ სხვა მისამართი ხდება გარდაუვალი... იქნებ ოდესმე „ჩვენც" გავხდეთ ასეთი „მისამართი".



# პანტომიმის თეატრმა სომხეთში ჯილდო მიიღო




ამირან შალიკაშვილის სახელობის პანტომიმის თეატრი სომხეთში დააჯილდოვეს.

ქართველმა მიმებმა მონაწილეობა მიიღეს ლეონიდ ენგიბარიანის სახელობის მეხუთე პანტომიმის საერთაშორისო ფესტივალში, სადაც „კრიმანჭული" ითამაშეს და მასტერკლასებიც ჩაატარეს.

„კრიმანჭული" გასული საუკუნის 90-იანი წლების ერთ-ერთ საუკეთესო სპექტაკლად არის აღიარებული. 7 გრანპრის მფლობელი სპექტაკლი პანტომიმის თეატრის რეპერტუარში ყველაზე რეიტინგულია. სპექტაკლის წარდგენის შემდეგ მაესტრო ამირან შალიკაშვილმა მასტერკლასიც ჩაატარა.

ფესტივალში სხვადასხვა ქვეყნის პანტომიმის თეატრები მონაწილეობდნენ. მიმებმა საქართველოდან, სომხეთიდან, ირანიდან, რუსეთიდან, სამხრეთ აფრიკიდან, უკრაინიდან, სერბეთიდან, განადან, საფრანგეთიდან საკუთარი რეპერტუარიდან საუკეთესო სპექტაკლები ითამაშეს, მასტერკლასები ჩაატარეს და მიმების საერთაშორისო კონფერენციაში მიიღეს მონაწილეობა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

## დავით ჭავჭანიძის ხსოვნას



მარხვაში დაგვტოვე და ფერისცვალებას ორმოცი გისრულდება.

რა ძნელი და აუტანელი ყოფილა ახალგაზრდა ძმაკაცის სიკვდილი, თუმცა, რომელ სიკვდილზე ვლაპარაკობთ, როცა ჩვენ გვერდით ხარ. შენს საფლავზე ხშირად მოვდივართ და გიხსენებთ.

დრო-ჟამის ვერანაირი ცვლილება დავიწყებას ვერ მისცემს ჩვენს ნაღდ ძმაკაცურ სიყვარულს.

*პაატა თამაზაშვილი, ზაზა მორჩილაძე, გიგა საჩელიძე, ლაშა ცნობილაძე*

---

მეუღლე ლია შარაშიძე, შვილები თამუნა, შალვა ბერაძეები, რძალი ეკა მოლაშხია, შვილიშვილები კატი, იონა ბერაძეები, თომა უთურაშვილი, მძახლები მზევინარ, სოსო, ბადრი მოლაშხიები, ცოლისდა ციალა შარაშიძე ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

## ომარ შალვას ძე ბერაძე

პანაშვიდი: 18, 19 აგვისტოს;
დაკრძალვა: 20 აგვისტოს, 14 საათზე;
მისამართი: მიცკევიჩის I კორპუსი, VI სადარბაზო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

**წვერსაპარსი PHILIPS**
**50 ლარი 90-ის ნაცვლად**

- ✓ მოძრავი პირები, რომლებიც იმეორებს თქვენი სახის კონტურს;
- ✓ მოქნილი ერგონომიკა ოპტიმალური ხმარებისთვის;
- ✓ სამუშაო ძაბვა 220 ვტ;
- ✓ გასაწმენდი ჯაგრისი;
- ✓ აკუმულატორი;
- ✓ მოჰყვება დამტენი;
- ✓ დატენვის ინდიკატორი;
- ✓ ბაკების გასასწორებელი;
- ✓ ორმაგი უჟანგავი რკინის პირი;
- ✓ მუშაობს შიდა აკუმულატორზე;
- ✓ ტრიმერი ბაკების და ულვაშების გასასწორებლად;



**შეიძინეთ Mozer-1800 – პროფესიონალი გერმანული თმის საკრეჭი!**
**50 ლარად 95 ლარის ნაცვლად**




ძრავი: 6 000 ბრ/წთ
ხმაურის დაბალი დონე;
საწმენდი ჯაგრისი, დანების ზეთი;
ხუთი საკრეჭი თავი
მასალა - უჟანგავი ფოლადი.

**სმენის აპარატი 45 ლარად 90 ლარის ნაცვლად**

1.ხმის გაძლიერება 50дБ.–120
2.ხმის რეგულირება.
3.ერგება ორივე ყურზე.
4.პატარა,მსუბუქი,შეუმჩნეველი.
5.კომპლექტშია:მოწყობილობა 1 ც რბილი რეზინები ყურებისთვის 3ც. ელემენტები LR41 – ჩასადები ყუთი,ინსტრუქცია.



მაღაზია Stop&Shop
დარეკეთ წინასწარ! ☎: 2-182-186.
მის: ვაჟა-ფშაველას №79. (უკანა მხარე)
579 885 996

# პროგრამა

**პარასკევი 19 აგვისტო**

**07.30** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **08.00** ან/სერ. "მადაგასკარის პინგვინები" **09.00, 10.10** ოლიმპიადა – "რიო **2016**" (**18.08.2016**) **10.00, 12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "დღე მუზეუმში" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე** **14.00** "პირადი ექიმი" **15.00** "ფერმა" **15.30** "სიტყვების თამაში" **16.30** "ოლიმპიური დღიური" **17.00, 20.50** ოლიმპიადა – "რიო **2016**"

**08.00, 16.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **09.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **10.00** "გეოფაქტორი" **10.10** დ/ფ "ელიოტ ნესი ალკაპონეს წინაარმდეგ" **11.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" **12.00** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" **13.00** "თოფ გიარი" **14.00** მხ/ფ "**ორი ძმა**" **16.30** დ/ფ "ნამდვილი და თვითმარქვია ჟანა" **17.20** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **18.30** ტ/სერ. "**ბედისწერის აჩრდილი**" **19.30** "ტელებლოგი" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **21.00** ოლიმპიური დღიური -"ათენიდან ათენამდე" **22.15, 23.30** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **23.00** "ნამდვილი დრო" **00.25** მხ/ფ "**ერთი ქალის ამბავი**"

**06.00** სერ. "**დახურული სკოლა**" **07.00** სერ. "**ფიცი**" **08.00** სერ. "**თანხმობა**" **09.00** კულინარიული დუელი **10.00** სერ. "**ბამბის ველი**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00** ქრონიკა **11.20** სერ. "**ჟუმონგი**" **12.30** სერ. "**სიყვარულის ჟამი**" **4** სერ. **14.40** სერ. "**ფიცი**" **16.00** სერ. "**თანხმობა**" **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** სერ. "**შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ** " **23.00** სერ. "**სპარტაკი**" **2**" **6** სერ. **00.00, 02.15, 04.15** მხ/ფ

**06.30** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 12.30** სერ. "**გაბრიელა**" **08.45, 09.15** სერ. "**ინდიანა ჯონსის მემკვიდრეები**" **10.15** სერ. "**დინასტია**" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**"-დასკვ. **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**ცხოვრების გზები**" **19.45, 20.05** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **20.50** ლოტო **22.00** იღბლიანი ბორბალი **23.00** სერ. "**ხელოვნური სუნთქვა**" **00.00** ქერის უბანი **00.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

GDS **8.00** ან/სერ. - "**ავატარი**" **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00, 0.30** სერ. "**გრეის ანატომია**" **13.00, 2.30** სერ. "**ძვლები**" **15.00** მხ/ფ "**ჰარი პოტერი და ნახევარპრინცი**" **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.20** არჩევნები **2012** დაიჯესტი **20.30 20.30 21.30** მხ/ფ "**დაუნდობელი ხალხი**" **23.15** სერ. "**ამერიკული საშინელებათა ისტორია**".

**06.15** კვირიაკე **07.15** დ/ფ "წელიწადის დრონი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" კოლაჟი. **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** ან/ფ "პინოქიო" I ნაწ. **11.25** ლექციები მეფუტკრეობაზე-ფუტკრის ჭეო **12.10** პორტრეტები "გიგი გეგელია" **13.15** ერთხელ ბავშვობაში "მერაბ კოკოჩაშვილი" **13.40** საყმაწვილო ენციკლოპედია **14.00** ჩვენი ფონდი "ზარზმის ფერიცვალების ხატი" **14.30** სადღესასწაულო სახარების განმარტება "ფერიცვალება" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ანიმაციური ფილმი **15.30** საუფლონი ფერიცვალება-"ნათელი თაბორისა" **16.00** ჩვენი ფონდი "ქართულ-აფხაზური ურთიერთობები" **16.20** კონცერტი **17.00** მიწათმოქმედი "ვაზი" **17.30** ჩვენი საგანძური "ცნობილ ადამიანთა ფონტები" **18.10** საუფლონი "ფერიცვალება" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**მე ვხედავ მზეს**" **20.40** ძილი ნებისა "კომბლე" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში "სხალტბის ქედი" **22.50** სადღესასწაულო სახარების განმარტება-"ფერიცვალება" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ერთსულოვანი ოჯახი "თავართქილაძე" **23.45** გამოყენებითი ხელოვნება "ხეზე კვეთა" **00.35** მგზავრები წუთისოფლისა "წარსულის გამოძახილი" **01.00** მხ/ფ "**ენი მწვანე სახურავების მამულიდან**" **5** სერ.

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 1.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები"(ჟესტიკულაციით) **8.00** სერ. "**ქალთა ექიმი**" **10.05** სერ. "**ტატიანა**" **11.05** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30** სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" **13.00, 14.05, 2.00** სერ. "**გულს ვერ უბრძანებ**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.05, 17.05** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.55, 19.05** სერ. "**მოლოდინის სია**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.35** სერ. "**ჯადოქარი**" **21.30** "ღამის კონტაქტი" **22.35** სერ. "**მახე**" **23.30** მხ/ფ "**რა სურთ ქალებს**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

19 აგვისტოსთვის


აშშ დოლარი — 2.3174


ევრო — 2.6112


ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0122


100 რუსული რუბლი — 3.6114

## ამინდის პროგნოზი 19 აგვისტოსთვის




## 16 აგვისტოდან

თედორე დოსტოევსკი

**ყმაწვილი**

ტომი I




**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

## 19 აგვისტოდან




თედორე დოსტოევსკი

**ყმაწვილი**

ტომი II

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

## იუმორი



ქმარი ცოლს ეუბნება:

– ძვირფასო! როდესაც ჩვენმა მეზობლებმა ახალი დივანი იყიდეს, შენც ისეთივე მოითხოვე და გიყიდე.

– დიახ, საყვარელო.

– მერე, მათ ახალი ავეჯი შეიძინეს და შენი მოთხოვნით, ჩვენც ჩვენი ავეჯი მთლიანად განვაახლეთ.

– ???

– მერე ისინი ევროპაში გაემგზავრნენ სამოგზაუროდ და სამ ადგილზე ვმუშაობდი იმისთვის, რომ შენც ასეთივე მოგზაურობაში გამეშვი.

– დიახ, საყვარელო, მასე იყო.

– ჰოდა, ახლა როგორ მოვიქცე?

– რა, მათთან რაიმე სიახლეა?

– კი, ახალი ცოლი ჰყავს!

•••

ორი მამაკაცი სვამს. სასმელი გაუთავდათ. ბინის პატრონი მეორეს ეუბნება:

– წავალ, ფულს დავბეჭდავ და სასმელს ვიყიდი.

მეორე ოთახში გავიდა, იქ, მცირე კაკუნის შემდეგ, გამოვიდა, წავიდა და სასმელი იყიდა. მეორე დღეს კაცს თავს პოლიციელები დაადგნენ, ბინა გაჩხრიკეს და ფულის საბეჭდი მანქანა რომ ვერ აღმოუჩინეს, ერთ-ერთი ეკითხება.

– სად ბეჭდავ ფულებს?

– არ ვბეჭდავ. კუპიურები ადრევე ჩავალაგე აი ამ პატარა მოწყობილობაში, ის უბრალოდ მათ ატკიცინებს და ახალს ამსგავსებს.

– კი მაგრამ, ეს სისულელე რაში გჭირდება?

– რომ ვიცოდე, ვისთან ერთად შეიძლება დალევა!

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ყველა ქალი, ქალია... ხოლო მე ქალღმერთი ვარ.

– ჰო, და ინდოელები გეთაყვანებიან...

– ვერ გავიგე, რას მეუბნები?

– იქ ძროხა წმინდა ცხოველად ითვლება.

•••

სომეხი ქალს ეუბნება:

– კარენ, გამომყევი ცოლად!

– დიდ ბრილიანტისთვლიან ბეჭედს მიყიდი?

– რა მოხერხებულად მითხარი უარი...

•••

მამაკაცი გოგონას ეკითხება:

– გოგონი, რამდენი წლის ხარ?

– ჩაგსვამენ, ბიძია, ჩაგსვამენ...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**




მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

## 18 აგვისტოდან

# ჩემი საყვარელი ორეული

ნინო ხარატიშვილი




ნინო ხარატიშვილის „ჩემი საყვარელი ორეული“ მოგვითხრობს რთული ოჯახური ურთიერთობებისა და მტკივნეული სიყვარულის ამაღელვებელ ამბავს.

„ჩემი საყვარელი ორეული“ ამაღელვებელი და მომნუსხველი დრამაა, რომელშიც აკრძალული ვნებისა და წარსულისაგან გათავისუფლების მცდელობის მსოფლიო თემებია ასახული.

რომანი 2011 წელს დამოუკიდებელი გერმანული გამომცემლობების პრიზით დაჯილდოვდა.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

## ბელა ჰადიდმა ვოგისთვის გაიხადა



ამერიკელმა სუპერმოდელმა ბელა ჰადიდმა ჟურნალ ვოგის ფრანგული ვერსიისთვის განკუთვნილ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა. აღნიშნული ფოტოსესიიდან ერთ-ერთი კადრი მანეკენმა სოციალურ ქსელ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე განათავსა.

ფოტოსურათისთვის გაკეთებულ მინაწერში 19 წლის ჰადიდმა ფოტოგრაფებს მერტა ალასასა და მარკუს პიგოტას მადლობა გადაუხადა ამ გადაღებებისთვის.

შიშველი მოდელის ფოტოებით დამშვენებული ჟურნალის ნომრის გამოსვლის თარიღი უცნობია. ინსტაგრამში ბელა ჰადიდის გვერდს 5,8 მილიონზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ფილიპ ლამმა ფრანკ რიბერი გააკრიტიკა





ბაიერნის ერთ-ერთმა ლიდერმა ფილიპ ლამმა თავისი თანაგუნდელი ფრანკ რიბერი გააკრიტიკა და თქვა, რომ ფრანგი ფეხბურთელი მოედანზე უკეთესად უნდა მოიქცეს. ბორუსიის წინააღმდეგ რიბერი მთელი მატჩის განმავლობაში აგრესიული იყო და ერთ ეპიზოდში მან მეტოქეს იდაყვიც ჩაარტყა, რის გამოც მსაჯმა ყვითელი ბარათიც უჩვენა.

ლამის აზრით, რიბერიმ ნაკლები აგრესია უნდა გამოიჩინოს მეტოქეების მიმართ და მეტი იფიქროს თავის გუნდზე.

ჯერჯერობით რიბერის პასუხი არ გაუცია, თუმცა, არ არის გამორიცხული, ფილიპ ლამსა და ფრენკ რიბერის მცირე კონფლიქტიც ჰქონდეთ, რაც, ბუნებრივია, ბაიერნის თამაშზე კარგად არ აისახება.

## პაკო ალკასერი შესაძლოა ბარსელონაში არ გადავიდეს



ვალენსიის სპორტულმა დირექტორმა სუსო გარსია პიტარჩმა განაცხადა, რომ პაკო ალკასერი არ იყიდება და მისი ბარსელონაში გადასვლის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია, უბრალოდ, ჭორია.

რამდენიმე დღის წინ ესპანური პრესა იუწყებოდა, რომ ალკასერი უკვე ბარსელონაში იყო, მაგრამ ვალენსია თავისი ერთ-ერთი ლიდერის გაყიდვას არ აპირებს.

ბარსელონამ წელს უკვე იყიდა ვალენსიის ფეხბურთელი, პორტუგალიელი ანდრე გომეში და, შესაძლოა, გომეშს მალე მეკარე დიეგო ალვესიც შეუერთდეს, რომელიც კლაუდიო ბრავოს შემცვლელად მოიაზრება.

ბრავო, სავარაუდოდ, ბარსელონას დატოვებს და კარიერას მანჩესტერ სიტიში გააგრძელებს.

## ბეშიქთაში კრისტიან ბენტეკეთი დაინტერესდა



ლივერპულისა და კრისტიან ბენტეკეს საგა გრძელდება. ლივერპულს ბენტეკეს გაყიდვა სურს, მაგრამ ჯერჯერობით ამის გაკეთება ვერ ხერხდება. ბელგიელი ფორვარდი ცალი ფეხით უკვე კრისტალ პალასში იყო, მაგრამ ბოლო მომენტში ეს ტრანსფერი ჩაიშალა.

ბენტეკეს ახალი მსურველი გამოუჩნდა თურქული გუნდის ბეშიქთაშის სახით. თურქები ბენტეკეს იჯარის სახით გადაბირებას აპირებენ და შესაძლოა ლივერპული ამ წინადადებას დათანხმდეს.

კრისტიან ბენტეკე ლივერპულმა ასტონ ვილასგან 32 მილიონ ევროდ იყიდა, თუმცა კლოპის მოსვლის შემდეგ კრისტიანმა ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა და ახლა ის ახალი გუნდის ძიებაშია.

## აარონ რემზი 2 კვირას გამოტოვებს

არსენალისთვის წლევანდელი სეზონი რთულად დაიწყო. ვენგერის გუნდმა სეზონის პირველ შეხვედრაში ლივერპული მიიღო და დამარცხდა 3:4.

გარდა ამისა, ლონდონელების მთავარი პრობლემა ტრავმიანობაა, რის გამოც არსენალს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი ვერ ეხმარება.



ტრავმა აქვს აარონ რემზისაც, რომელიც არსენალის ნახევარდაცვის ერთ-ერთი ლიდერია. ბოლო ინფორმაციით, ის, სავარაუდოდ, 2 კვირას გამოტოვებს და მისი დაბრუნების ზუსტი დრო უცნობია.

შემდეგ შეხვედრას არსენალი სტუმრად ინგლისის მოქმედი ჩემპიონის, ლესტერის, წინააღმდეგ გამართავს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად**: 1. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 2. პატარა ბუ; 3. კუნძულოვანი სახელმწიფო აზიაში; 4. ქართველი კარიკატურისტი მხატვარი; 3. იტალიელი მოდელიორი; 8. ცეცხლგამძლე თიხის ლაბორატორიული ჭურჭელი; 9. ქართველი პოეტი ქალი; 12. თაღლითი ბანქოს თამაშში; 14. მუსლიმთა ყოველდღიური ლოცვა, რომელიც დღეში ხუთჯერ სრულდება; 16. ბრაზილიელი მწერალი.

**თარაზულად**: 1. საეკლესიო წესით ქორწინება; 6. სოფოკლეს ტრაგედია; 7. საზეიმო ხასიათის დიდი ვოკალურ-ინსტრუმენტული მუსიკალური ნაწარმოები; 9. წყალქვეშა სამუშაოებისთვის განკუთვნილი ჰერმეტული კამერა; 10. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 11. იურიდიულად გაფორმებული სავალო ხელწერილი; 13. მოკლე ნიჩბებით სამართავი სპორტული ნავი; 15. მდინარე ტოკიოში; 17. ისტორიული მოედანი პარიზში; 18. საერთაშორისო ანგარიშსწორების საბანკო ჩეკი; 19. ჩრდილო ამერიკაში გავრცელებული დიდი დათვი; 20. პარიზის ძველი სახელწოდება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*


ლურჯი წითელი ყვითელი შავი